პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი მეორე

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე [illegible] უქმეების გარდა [illegible].
ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

№ 69 სამშაბათი, 28 მარტი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი სამშაბათი, 28 მარტი 1922 წ. № 69

დღეს, 28 მარტს, დილის 9 საათზე

შესდგება საქართველოს კომუნისტური პარტიის

თბილისის კომიტეტის ბიუროს სხდომა

წევრების დასწრება სავალდებულოა.

ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის მდივანი მაგიერ **ჯორბენაძე.**

(1—1)

საბჭოთა სახელმწიფოს უფლებრივი ნორმები

ოთხი წლის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლებას განუწყვეტელი და გააფთრებული ბრძოლა უხდებოდა უამრავ შინაურ თუ გარეშე კონტრრევოლიუციონერებთან, რომელნიც ყოველმხრიდან ესხმოდენ მას თავზე და ყოველგვარი, განურჩეველი საშუალებებით ლამობდენ პროლეტარულ რევოლიუციას და მის მონაპოვართა გაქარწყლებას.

ეჭვი არაა, რომ საბჭოთა ხელისუფლებასაც უნდა მიემართა განსაკუთრებული საგანგებო ზომებისათვის, რათა დაეხსნა მშრომელი ხალხი და რევოლიუცია მოზღვავებულ მოსისხლე მტრებისაგან. აქ რაიმე მერყეობა „ჰუმანიურობა“ დაუნდობელ მტრების მიმართ მიუტევებელი დანაშაული იქნებოდა და მუშათა კლასის დამღუპველი. ჩვენ ვერ დავივიწყებთ პარიზის კომუნის მწარე გაკვეთილს, როცა კომუნარების რომანტიულმა სულგრძელობამ ბურჟუაზიას საშუალება მისცა ძალა მოეკრიბა და პარიზის ქუჩები მშრომელი მასსების ზღვა სისხლით მოერწყო.)

ამიტომ, ვიმეორებთ პროლეტარულ ხელისუფლების გარემოებათა იძულებით გამოწვეული საგანგებო რეპრესიული ზომები ექსპლოატატორების და ყოველ ჯურის კონტრ-რევოლიუციონერების წინააღმდეგ სავსებით მიზანშეწონილი იყო და ზნეობრივად გამართლებულია.

ჩვენ ვიცით ასეთი ზომების და ბრძოლის შედეგები. მუშათა კლასმა სასტიკად დაამარცხა კონტრ რევოლიუცია, შედარებითი მშვიდობიანობას მიაღწია და სამეურნეო აღმშენებლობას შეუდგა. ამის შემდეგ შესაძლებელი იყო „საგანგებო ზომებს“ თანდათან დაეთმოთ ადგილი უფრო ნორმალურ დროის შესაფერ წესებისათვის. მეორე მხრივ, ახალი ეკონომიური კურსი, რომელმაც ერთგვარი გასაქანი მისცა კერძო კაპიტალისტურ თაოსნობას და წარმოებას, ამასთან უცხო კაპიტალს გზა გაუხსნა რუსეთში საქმიანი ხასიათის მუშაობისათვის,—თხოულობდა თავის ჩამოყალიბებას სათანადო იურიდიულ ნორმებში. ამგვარად ცხოვრებამ წამოაყენა საბჭოთა კანონიერების საკითხი, მატერიალურ და პროცესუალურ უფლების მტკიცე ნორმების გამომუშავების საჭიროება, რომელნიც უზრუნველყოფენ მოქალაქეთა პიროვნულ და ქონებრივ უფლებებს საბჭოთა ძირითადი კანონების საფუძველზე. ამ მიმართულებით რუსეთში გამალებული მუშაობა სწარმოებს და უკვე გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯებიც. გაუქმებულია სასამართლოს გარეშე რეპრესიები, გაუქმებულია საგანგებო კომისია და მის მაგივრად დამტკიცებულია სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო. მუშავდება და მზადდება რესპუბლიკის მატერიალური სამოქალაქო უფლების და სისხლის სამართლის კოდექსი. გარდა ამისა, მოქალაქეთა ერთგვარი თავისუფლების დასამყარებლათ და ქვეყნის წარმოებითი ძალების ასაღორძინებლად, გაუქმებულია მუშა-მოსამსახურეების მიმაგრება წარმოება-დაწესებულებებზე, გაუქმებულია შრომის მობილიზაციები, მოქალაქეთ უფლება ეძლევათ თავისუფლად მოკიდონ ხელი ამა თუ იმ წარმოებას, ნებადართულია—ქვეყნის შიგნით თავისუფალი მიმოსვლა და სხვა. ამგვარად მტკიცე საფუძველი ეყრება საბჭოთა რევოლიუციონურ კანონიერებას და მართლმსაჯულებას.

რუსეთში და საზღვარგარეთ ბევრი, ბურჟუაზიული ბანაკიდან, ეჭვის თვალით უყურებს იმ ღონისძიებებს, რომელნიც მიმართულია საბჭოთა კანონიერების დასამყარებლად, ან რიგიანად ვერ ერკვევა მათში. ეს გარემოება დიდად უშლის ხელს კერძო სამეურნეო საქმიანობის დაწყებას და განვითარებას რუსეთში, აგრეთვე უცხოეთთან ნორმალურ ეკონომიურ ურთიერთობის აღდგენას და გაჩაღებას.

დღევანდელ ჩვენს გაზეთში იბეჭდება საბჭოთა მთავრობის მემორანდუმი ანტანტის სახელმწიფოების მთავრობებისადმი. ეს მემორანდუმი საყურადღებოა იმ მხრივ, რომ ჩამოთვლის რა ზევით ჩვენ მიერ ხსენებულ და სხვა ღონისძიებებს მოქალაქეთა პირად და ქონებრივ სფეროში, მიზნად ისახავს ამ გაუგებრობის გაფანტვას და ხელს უწყობს რუსეთსა და კაპიტალისტურ ევროპას შორის სამეურნეო ურთიერთობის აღდგენას წმინდა საქმიან ნიადაგზე. ეს მემორანდუმი ეუბნება ბურჟუაზიულ მსოფლიოს წარმომადგენლებს, რომელთაც სურთ რუსეთში გააჩაღონ კერძო თუ შერეული (სახელმწიფოს ორგანოებთან ერთად) სამეურნეო აღმშენებლობა: თქვენი საქმიანობა, პირადი და ქონებრივი ინტერესები უზრუნველყოფილია საბჭოთა კანონებით და, ვისაც სურთ ამ კანონების ფარგლებში მოქმედება შეგიძლიათ საქმეს გულდამშვიდებით მოკიდოთ ხელი. ირწმუნებს თუ არა ამ განცხადებას ევროპის „საქმის“ ხალხი, ეს სხვა საქმეა. ყოველ შემთხვევაში, ინტერესები კაპიტალისტური ევროპის, რომელიც საშინელ კრიზისს განიცდის რუსეთის ეკონომიურ იზოლიაციის გამო, მოითხოვენ საბჭოთა ფედერაციასთან ფართე სამეურნეო საქმიანობის გაჩაღებას. ამის საშუალებას სავსებით იძლევა რუსეთის საბჭოთა უფლებრივი ნორმებიც.

რა თქმა უნდა, ამ ნორმებს მანამდე ექნებათ ძალა, სანამ ბურჟუაზია დარჩება საქმიანობის და „კანონიერების“ ნიადაგზე. ხოლო თუ ის წინანდებურად მოინდომებს ყოველგვარი საშუალებებით მუშათა ხელისუფლების დახშობას,—ისევ წამოიჭრება საკითხი „არა ჩვეულებრივი ზომების“ შესახებ. და არ გვგონია, აქედან რაიმე მოიგოს ბურჟუაზიამ. მან ახლო წარსულში საკმაო გაკვეთილი იწვნია და მომავალშიც, თუ ამ გზაზე შესდგება, მისი ცდა მუშურ გლეხურ ხელისუფლების დასაღუპავებისა, ისევ დაუზოგველად იქნება აღმოფხვრილი, როგორც წინედ. ამის თავდებია მუშათა კლასის და მისი ხელმძღვანელის, კომუნისტური პარტიის სიმტკიცე, გამოცდილება და ბრძოლის უნარი.

ზ. ქ.

ცოტა-რამ სახალხო ჯანმრთელობის შესახებ

საბჭოთა ხელისუფლების დროს მშრომელი ხალხის ჯანმრთელობის საკითხს და კერძოდ კურორტ-სანატორიუმების მოგვარებას მეტად დიდი მნიშვნელობა ეძლევა, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ დღემდი ამ დარგში ყოფილ მენშევიკურ მთავრობის მიერ არაფერი არ გაკეთებულა.

მეფის ჯალათების და მენშევიკური სატრაპების ბატონობის დროს ციხეებში გამომწყვდეული დაავადებული თავდადებულ რევოლიუციონერებისა და აქამდე ნესტიან სარდაფებში უყურადღებოდ მიტოვებული მუშათა კლასის ჯანმრთელობა მოითხოვდა, რომ ეს მეტად მტკივნეული საკითხი სათანადოთ გადაჭრილიყო და რაც შეიძლება ფართო საშუალება მისცემოდათ მათ თავიანთი დასუსტებული ჯანმრთელობის აღდგენისათვის. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათანავე ამას მიაქცია საჭირო ყურადღება ჩვენმა სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატმა და იმ თავითვე გადადგა ამ მხრივ პრაქტიკული ნაბიჯები. მაგრამ უნდა ითქვას სამწუხაროდ, რომ გასული წლის სურათი საქართველოს კურორტ-სანატორიუმების მდგომარეობისა, მეტად არა სანუგეშო იყო. ჩვენ ვერ შევძელით ექიმობის მთავარი მოთხოვნილების დაკმაყოფილება—მედიკამენტებისა და სურსათ-სანოვაგის საჭირო რაოდენობის მიწოდება; ჩვენ ვერ მოვახერხეთ დაგვემყარებია კურორტ-სანატორიუმებში რამდენიმედ მაინც დამაკმაყოფილებელი კლინიკური რეჟიმი და ავადმყოფთა სულიერ სიმშვიდისათვის მეტად საჭირო წესრიგი.

რასაკვირველია უმთავრესად ამის მიზეზები ჩანერგილი იყო ობიექტურ პირობებში, როდესაც გაქცეულმა მენშევიკებმა საქართველოს სხვა განძეულობასთან ერთად გაიტაცეს ძვირფასი მედიკამენტები, იარაღები და ამიტომ პირველ ხანებში ჩვენი ფაქტიური ბლოკადის დროს შეუძლებელი შეიქნა უბრალო წამლების შეძენაც. მაგრამ, მეორე მხრით, მოუწყობელ და საორგანიზაციო პერიოდის ხანაში კურორტ-სანატორიუმების ადგილობრივ სამმართველოების ზოგიერთ საპასუხისმგებლო პოსტებზე მოხვდენ სრულიად უნიჭო და უპასუხისმგებლო პირები. ამ უკანასკნელებმა არათუ შესძლეს მიზანშეწონილად მაქსიმალურათ გამოეყენება იმ მცირე რესურსებისა, რომლებიც ჯანმრთელობის კომისარიატის ხელში იყო, არამედ თავიანთი გულგრილობით და დაუდევრობით (როგორც ეს გამოარკვია ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლის რევიზიამ) ისინი ხელს უწყობდენ ხალხის ქონების არა დანიშნულებისამებრ მოხმარებას.

ამ ნაირად, მიუხედავათ იმისა რომ მუშათა კლასის დიქტატურა რკინის ხელით ემუქრებოდა საზოგადო საქმის ყველა აქტიურ თუ პასიურ მოღალატეებს, ზევით მოყვანილ ანორმალურ მოვლენებს მაინც ჰქონდა ადგილი შარშანდელ ცხოვრებაში და ჩვენ მიერ მიღებული ზომები ვერ პოულობდა მტკიცე დასაყრდენობს.

მაგრამ დღეს კი, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის დროს გამოდის არა მარტო რევოლიუციონური იურიდიული ნორმებით, არამედ აყენებს უკვე ჩამოყალიბებულ სამოქმედო გეგმასაც, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საზოგადოთ საორგანიზაციო პერიოდის მზგავსი დეფექტების თავიდან აცილებასთან ერთად შევძლებთ ჯანმრთელობის კომისარიატის აღნიშნულ ნაკლისგამოსწორებასაც. უკანასკნელის უტყუარი თავდებია ამ მხრივ გადადგმული პირველი ნაბიჯი—კომისარიატის მიერ განზრახული გადახალისება კურორტ-სამმართველოების გასული წლის პასუხისმგებელი პერსონალური შემადგენლობისა, რომელმაც შარშანდელი საექიმო სეზონში სამართლიანად დაიმსახურა ავათმყოფი მუშა-მოსამსახურეების სრული უნდობლობა. ეჭვი არაა ეს გადახალისება და საპასუხისმგებლო პოსტებზე გამოცდილი და პატიოსანი ადმინისტრატორების დაყენება გამაცოცხლებელ ნაკადს შეიტანს გასული წლის უმოქმედო-უსისტემობაში და საშუალებას მოგვცემს კურორტ-სანატორიუმების რაციონალური ექსპლოატაციისას.

ა. ა—ნი.

მეტი ყურადღება ტრანსპორტს*)

უკანასკნელად შემუშავებული იყო ტეზისები: რკინისგზელთა, მეზღვაურთა და ადგილობრივ ტრანსპორტის მომუშავეთა შორის მომავალ მუშაობის შესახებ. საჭირო იყო ამ ტეზისების გადახედვა და მისი დამტკიცება, რისთვისაც არა-ერთხელ მოწვეულ იყო კრება ც. კ. ტრანსპორ. ქვეგანყოფილების მიერ მაგრამ რკინის გზელთა პროფკავშირების გზების კომისრების ს. პ. ს. გ., ტ. კ., პირველი რაიკომის ამ კრებისადმი გულგრილობის გამო ვერ შევძელით გაგვეგო საერთო აზრი ამ ორგანოების და კერძოთ შეხედულება ტეზისების 2-პუნქტის შესახებ, რომელიც იწვევს ზოგიერთ ორგანოებში ერთგვარ უკმაყოფილებას.

ტეზისების მეორე პუნქტში გატარებულია ის აზრი, რომ გაძლიერებული იქნეს პარტიული მუშაობა და დამყარებული ნორმალური დამოკიდებულება. უპირველესათ ყოვლისა საჭირო არის დაარსდეს ერთი შემაკავშირებელი ცენტრი საქართველოს ტრანსპორტის მუშაობისა.

რადგანაც აუცილებლათ ვსთვლით დაარსდეს სრულიათ საქ. ტრანს. მუშების გამაერთიანებელი კავშირი, ამიტომ საჭირო არის ამ საკითხის შესახებ გაიმართოს დისკუსია—კამათი, რომ ყოველ ამხანაგს ქონდეს საშვალება გამოთქვას თავისი აზრი, საჭიროა თუ არა სრულიათ საქართველოს ტრანსპორტის მუშების გაერთიანება.

თუმცა გასული წლის დეკემბრის მეორე ნახევრიდან არსებობს ც. კ. ტრანს. ქვე-განყ. მაგრამ დღემდე მუშაობას ვერ შეუდგა, ტრანსპ. კავშირების შეუკავშირებლობის გამო. დროა სიტყვიდან საქმეზე გადასვლა, ამას თხოულობს სახალხო მეურნეობის საქმე და კერძოთ რკინის-გზელების და საზღვაო ტრანსპორტის ყოველ-მხრივ მეტათ უმწეო მდგომარეობა.

არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ საქართველოს რკინის გზელებს შეადგენენ ინდუსტრიალური მუშები, რომლებიც ავანგარდი არიან რევოლიუციისა და მთავარი ძარღვი ჩვენი ეკონომიური ცხოვრების.

თუ დავაყენებთ რკინის გზის მუშების გავლენის ქვეშ დანარჩენ ტრანსპორტზე მომუშავეთ, ამით ჩვენ შევსძლებთ მათი რევოლიუციონური თვით შეგნებისა და სულის კვეთების მაღლა აწევას.

პრაქტიკულათ გაერთიანება შესაძლებელია მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ დაარსებული იქნება ერთი მთლიანი კომიტეტი, რომელშიაც გამაერთიანებელი იქნება რკინი გზის მაგისტრალი და მისი კავშირთა ცენტრი.

ს. პ. კ. ს. იწვევს რკინის-გზელთა პროფკავშირის საშუალებით შეერთებულ კონფერენციას ყოველ გვარ ტრას. მუშებისას, სადაც არჩეულ იქნება ერთი შეერთებული კომიტეტი სადაც კი არსებობს რაიონულ მეზღვაურთა კავშირი, რაიონული რკინის-გზელთა კავშირი და სხვა ტრანსპორტის მუშათა კავშირები, იმ ადგილებში ირჩევენ ერთ მთლიან კომიტეტს, რომელიც არჩეული იქნება რაიონულ კონფერენციებზე. ასეთ კომიტეტებს დაექვემდებარება დანარჩენი ტრანსპორტის მუშათა კავშირები. სადაც მოუხერხებელია რაიმე მიზეზის გამო ყველა ტრანსპ. მომუშავეთა გაერთიანება მთლიან რაიონულ კომიტეტში იქ—ადგილობრივი რაიკომები პირდაპირ ემორჩილებიან საქ. ტრანს. მუშ. მთავარ კომიტეტს.

როდესაც დაარსდება გამაერთიანებელი ორგანო ყველა ტრანსპ. მუშებისა, მაშინ მოისპობა მათ შორის ყოველივე განსხვავება პოლიტიკურ და ეკონომიურ უფლებებში და შესაძლო გახდება დაარსება შეერთებული კულტ განყოფილებისა, რომლის მიზანი იქნება კულტ.-განმან. მუშაობა, წერა კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია სკოლების, სამკითხველო-წიგნსაცავ—კლუბ თეატრთა საშვალებით.

ცენტრალურ ორგანოს დაარსებამდე, რომელიც თხოულობს ხანგძლივ მოსამზადებელ მუშაობას, საჭიროა სერიოზული ყურადღება მიექცეს საკლუბო მუშაობას.

თითქმის ყველა ქალაქებში, სადაც არსებობს ნავთ სადგურები გახსნილი არის კლუბები მეზღვაურთა და რკინის გზელთათვის, მაგრამ ასეთ კლუბებში ვერ ნახავთ ვერც ერთ სხვა ტრანსპორტის მომუშავეს, რომელიც ამ მხრივ მეტის მეტათ ჩამორჩენილია.

დაუყოვნებლივ უნდა გაერთიანებულ იქნენ კლუბები, ამორჩეული კლუბების გამგეობა პერსონალური პრინციპის დაცვით და ჩათრეულნი მუშაობაში ყველა ტრანსპ. დარგის მომუშავენი, რომელთათვისაც დღეს კლუბები უცხო ხილია.

შემდეგი საფეხური გაერთიანებისა იქნება გაერთიანება სამკითხველო ბიბლიოთეკის მუშაობისა, რომლის საშვალებით რკინის გზელები და მეზღვაურები გამსჭვალული რევოლიუციონური შეგნებით და აღმშენებლობითი მუშაობის წყურვილით, გასწევენ ფართო აგიტაციას და მოუწოდებენ მათ სამკითხველო-ბიბლიოთეკისკენ, რითაც დიდათ შეუწყობენ ხელს მათ გონებრივ განვითარებას.

ყველა ეს არის მხოლოთ ცალკე მაგალითები, ხოლო მათი გატარება ცხოვრებაში დამოკიდებული იქნება ტეხნიკური და სხვა შესაძლებლობაზე, რომელიც არსებობს ადგილობრივათ მაგრამ, მუშაობას უნდა შეუდგეთ დაუყონებლივ, რათა მივიღოთ გამოცდილება და მისი შედეგი.

ვიმედოვნებ, რომ ამხანაგების გამოცდილებით ასეთ რთულ ორგანიზაციულ საკითხში, ჩვენ შევძლებთ შევქმნათ ახალი ფორმა გაერთიანებისა ტრანსპორტის მუშათათვის, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენს ცხოვრებაში და რომელიც ჯერ ვერ გასცილებია ცეხურ წესებს

ა. კობახიძე.

---

*) სადისკუსიო.

საქართველოს პროლეტკულტი

საქართველო დღეს ჩამოყალიბებული საბჭოთა რესპუბლიკაა, მას მმართავს და განაგებს „**საქართველოს საბჭო**“.

საქართველოს მუშათა კლასი შეკავშირებულია ეკონომიურ ნიადაგზე, ის წარმოადგენს ერთ განუყოფელ, მტკიცე „**პროფკავშირს**“.

საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას და მუშათა კლასის პროფკავშირს ხელმძღვანელობს და წინამძღვრობს **საქართველოს კომუნისტური პარტია!**

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ყოველივე ეს **მსოფლიო პროლეტარიატის დიქტატურის** გამოხატულება და განსახიერებაა.

ხოლო არავითარი დიქტატურის გამარჯვება და განმტკიცება შეუძლებელია შესაფერისი **იდეოლოგიის** „სულიერი კულტურის“ გარეშე. ჩვენ ვიბრძოდით რუსეთის მუშებთან ერთად პოლიტიკურ ასპარეზზე და შევქმენით მათთან ერთად **პოლიტიკური ფრონტი**, რომელზედაც ბრწყინვალეთ გავიმარჯვეთ!

ჩვენ ვიბრძოდით რუსეთის მუშებთან ერთათ კაპიტალისტების წინააღმდეგ შრომის პირობების გასაუმჯობესებლათ და დღესაც ვიბრძვით ეკონომიურ ნიადაგზე, რომ შრომის კაპიტალისტური პირობების საპირდაპირო შევქმნათ სრულიად ახალი, სოციალისტური ურთიერთობა. ჩვენ ვიბრძოდით **ეკონომიურ ფრონტზე** და ახლა ვქმნით ახალ „**ეკონომიკას**“.

მაგრამ არის კიდევ **მესამე ფრონტი**, ფრონტი მეტად გამაგრებული და ძლიერი, ეს არის **კულტურული ფრონტი** რომელზედაც ისე მარჯვეთ, სწრაფად და მედგრად მთელი საუკუნეების განმავლობაში მაგრდებოდა პროლეტარიატის კლასობრივი მოპირდაპირე, ბურჟუაზია.

ბურჟუაზიული იდეოლოგიით, კაპიტალისტური კულტურით გაჟღენთილია დღეს, მოწამლულია მისი შხამით არა მარტო ბურჟუაზიული და წვრილ ბურჟუაზიული მასსები, არამედ **მშრომელი ხალხის** ნაწილიც. ბურჟუაზიამ საბოლოო გამარჯვებისათვის უკვე მოასწრო თავისი ძლიერი იდეოლოგიის საშუალებით გავლენა მოეხდინა პროლეტარიატის ნაწილზეც, არ მისცა მას გასაქანი და თითქო სამუდამოთ ტყვე ქმნილ ჰყო იგი.

ჩვენი, კომუნისტური პარტიის, წმინდა ვალი და მოწოდებაა გავანთავისუფლოთ ის ამ ტყვეობისაგან, ვით გავათავისუფლეთ მშრომელი მასსები **პოლიტიკური და ეკონომიური მონობისაგან!**

ამ ფრონტზე ბრძოლის პირველი ლოზუნგი, პირველი მაგალითი თავის მოღვაწეობის პირველ ხანაშივე მოგვცეს ჩვენ თვით მსოფლიო პროლეტარიატის აზროვნების გიგანტებმა—მარქსმა და ენგელსმა. ეს იყო მათი ბუმბერაზული კოლექტიური ნაწარმოები, მეცნიერული შრომა—სამ დიდ ტომად შექმნილი—კაპიტალი. მათ გამოჭედეს ამით პროლეტარიატის იდეოლოგიის საფუძველი და გვიანდერძეს: განაგრძეთ ჭედვა, ააგეთ ამ საფუძველზე მტკიცე, მკვიდრი კედლები და დაასრულეთ პროლეტარიატის ხელთუქმნელი სასახლე, რომელსაც **პროლეტარული კულტურა ეწოდებათ.**

და აი ამ ურყევ საძირკველზე კედლების აგება ისტორიამ წილად არგუნა რუსეთის პროლეტარიატის მოწინავე რაზმს და მის იდეოლოგებს.

კულტურულ ფრონტზე ბრძოლას ჯერ ისევ რუსეთის პირველი რევოლიუციის დამარცხების შემდეგაც, რეაქციის ჟამს, განაგრძობდნენ ა. ლუნაჩარსკი და სხვა ამხანაგები. ისინი თავიანთ იდეიურ კულტურულ სამჭედლოში მეტად ბასრ იარაღს სჭედდენ—პროლეტარული პოეზიისა და ფილოსოფიის ნიმუშებსა ჰქმნიდნენ.

ხოლო დღეს, ჩვენს გარდამავალ ხანაში, პოლიტიკურ გამარჯვების ჟამს რუსეთის პროლეტარიატის მოწინავე გუნდებმა შეჰქმნეს ისეთი ძლიერი კულტურული ორგანიზაცია, რომელსაც მსოფლიო მნიშვნელობის გარდა სრულიად რუსეთის **პროლეტკულტი** ეწოდება.

ჩვენ კი, საქართველოში, ჯერ ამ ფრონტზე თითქმის არაფერი გაგვიკეთებია, მაშინ როდესაც რუსეთის პროლეტარიატის ბრძოლის ყიჟინა ამ ფრონტზედაც აგერ მეოთხე წელია, რაც ძლიერათ გაისმის (პროლეტკულტების პირველი კონფერენცია გაიმართა ქ. მოსკოვში 1918 წლის სექტემბერს).

არის მხოლოდ პირველი ცდა, პირველი ნაბიჯი — საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის დაარსება და მისი პირველი გამოსვლები—მაგრამ, ყველასათვის აშკარაა, რომ ეს ამ დიადი საქმის მხოლოდ ჩანასახია, მხოლოდ დასაწყისია; ეს პირველი მოწოდებაა საქართველოს დედა ქალაქიდან, თბილისიდან მთელი საქართველოს მუშათა კლასისადმი მიმართული, რომ მან ხელთ იპყრას მსოფლიო პროლეტარიატის ბასრი კულტურული მახვილი და მით თავის მოსისხლე მტერს, ბურჟუაზიას ერთხელ და სამუდამოთ გული გაუგმიროს, „სული ამოხადოს“!

მაგრამ გვეტყვიან: რა დროს პროლეტკულტია, ამხანაგო, როდესაც **გარეთ** შინაური და უცხო ბურჟუაზია „გენუას კონფერენციის“ სახით მახეს გვიგებს და შინ „შიმშილით სული გვძვრება“, როდესაც ახალი ეკონომიური პოლიტიკა გვაქვს გამოცხადებული და რის გამოც ყოველი მხრიდან ბურჟუაზიული სტიქია—წვრილი და მსხვილი—ვით უეცრათ მოვარდნილი ღვართქაფი გვაწყდება და ლამის წაგვლეკოს.

და სწორეთ ამისთვის არის საჭირო ის სალი კლდე—**ჯებირი**, რომელიც ამ მოვარდნილ ღვართქაფს გაუმაგრდება და პროლეტარულ დიქტატურის გამაგრების ხელს შეუწყობს.

გამარჯვებული პროლეტარიატი რუსეთის ფედერაციის ფარგლებში, ყველა მთავარ სფეროში და პუნქტში აგებს დღეს **ასეთ ჯებირებს**, რომლებიც გაუმაგრდებიან დასავლეთ ევროპიდან ბურჟუაზიულ სტიქიის აღზორებულ იერიშებს და საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს დაღუპვისაგან გადაარჩენენ.

ჩვენი ახალი ეკონომიური პოლიტიკა სამ მთავარ ასეთ **ჯებირს** ჰგულისხმობს: ეკონომიურს, პოლიტიკურს და კულტურულს. ეს სამი „წვერვალია“, რომლიდანაც გამარჯვებული პროლეტარიატის მძლეთამძლე ლაშქარი გადაჰყურებს მთელი მსოფლიოს სივრცეს და მტრის შემოსევას მოლოდინში მწყობრათ ირაზმება, უთვალთვალებს მტერს, ზვერავს მას და ხლართებს უმზადებს, რომ მან მის „მწვერვალებზე“ ვერავითარი საიდუმლო ბილიკითაც კი ვერ შესძლოს ასვლა და მიხდომა.

როგორც წერილის თავში აღვნიშნე საქართველოში ჩვენ უკვე დავიკავეთ ორი მწვერვალი—პოლიტიკური და ეკონომიური—და მხოლოდ არა გვაქვს **ჯერ** დაპყრობილი მესამე—კულტურული.

ბრძოლა დაიწყო პროლეტარულ მწერალთა ორგანიზაციამ და პროლეტარული დიქტატურა ჩვენში უფრო მტკიცე, უფრო ფართე პროლეტარული, მძლეთა-მძლე რაზმის შეელას მოელის—პროლეტკულტის დაარსებას საქართველოში.

და აი ასეთი სანატრელი დღე მიუხედავათ განუზომელი კრიზისისა დაგვიდგა დღეს: 28 მარტს განზრახულია შედგეს „თათბირი“, რომელიც დაარსებს საქართველოში პროლეტკულტს.

ეს იმის მაჩვენებელია, იმის ნათელი მაგალითია, რომ გამარჯვებული პროლეტარიატი მრავალ სტიქიურ მოულოდნელ უბედურებათა სიმძიმის გავლენით და ძალდატანებით დღეს სრულაც არ ფიქრობს იარაღის დაყრას და გალილეისებური სულის სიმტკიცით თავის ჯალათ მტრებს—სტიქიურს და კლასიურს—კვლავ მრისხანეთ უყვირის: „ისევ ბრუნავს“, რევოლიუცია კვლავ წინ მიდის, ვერავითარი ძალა და გარემოება მას ვერ შეაფერხებს!

რაჟდენ კალაძე.

საბჭოთა მთავრობის მემორანდუმი

მოსკოვი, 25 მარტი (რადიო). საბჭოთა მთავრობამ გადასცა ანტანტის სახელმწიფოთა მთავრობებს 15 მარტის ნოტასთან ერთად აგრეთვე მემორანდუმიც ღონისძიებების შესახებ მოქალაქეთა პირად და ქონებრივ უფლებების სფეროში ქვეყნის, შინაურ და გარეშე ფრონტებზე ბრძოლის დროს, დანგრეულ წარმოებითი ძალების აღდგენის მიზნით.

მემორანდუმში ჩამოთვლილია შემდეგი კანონები, გამოცემულნი 1921—1922 წლებში: გაუქმებულია სახელმწიფო მოსამსახურეების და მუშების მიმაგრება დაწესებულებებსა დ წარმოებებზე, გაუქმებულია შრომის მობილიზაციები, გამოცხადებულია ამა თუ სამუშაოს არჩევის თავისუფლება, ქვეყნის შიგნით მიმოსვლის თავისუფლება, უზრუნველყოფილია მოქალაქეთა უფლება ისარგებლონ თავისი (დამახინჯებულია), გაუქმებულია ბინებიდან მოქალაქეთა იძულებითი გამოსახლების უფლება, მთავრობის ცალკე დადგენილებით დადასტურებულია კორესპონდენციის საიდუმლოების პრინციპი, ამასთან კანონში გარკვევითაა აღნიშნული კორესპონდენციის ამოღების წესი გამოძიების წარმოების დროს სისხლის სამართლის საქმეების შესახებ. განსაკუთრებული სისრულითაა გამოხატული მოქალაქეთ უფლებები რ. ც. ა. კ. მიერ მიღებულ კანონში სასამართლოს გარეშე რეპრესიების გაუქმების შესახებ, საგანგებო კომისიის გაუქმებისა და სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს დაარსებაზე, საგამომძიებლო მოქმედებისათვის საერთო მეთვალყურეობის დაკისრებით იუსტიციის კომისარიატზე. მოქალაქეთა პირადი უფლებების უზრუნველყოფის მიზნითვე სახალხო კომისართა საბჭო იხილავს სახ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსს. ეს სისხლის სამართლის კოდექსი ვრცელდება აგრეთვე ბოროტმოქმედებაზე, რომლებსაც იდენენ უცხოელები, თუ ისინი არ ეკუთნიან დიპლომატიურ კორპუსს.

სტოვებს რა ურყევლად მიწის საკუთრების ნაციონალიზაციის პრინციპს, საბჭოთა მთავრობამ ნება დართო არა გაეროვნებულ შენობების პატრონებს გადასცენ საიჯარო უფლებები შენობების ასაგებ მიწაზე.

აგრეთვე დაშვებულია დიდ ფარგლებში აშენების უფლებების მოხმარება მიწის შესახებ ძირითად კანონთა შეთანხმებით.

თავი მოუყარა რა თავის რესურსებს მსხვილ და აუცილებელ გაეროვნებულ წარმოებების მცირე რიცხვზე, მთავრობამ დანარჩენი წარმოებები მოაწყო კომერციულ საფუძველზე, მისცა რა სამეურნეო თვითმართველობა ტრესტების ფორმით, წარმოებათა მეორე ნაწილი გადასცა იჯარის უფლებებით კერძო თაოსნობას, რ. ც. ა. კ. უზრუნველყო საიჯარო ხელშეკრულებების სიმტკიცე, რომელთა დარღვევა შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს საშუალებით.

მიაჩნია რა აუცილებლად რუსეთის აღსადგენად მსოფლიო მეურნეობის ინტერესებისათვის უცხოელ ტეხნიკურ და მატერიალურ ძალების მოზიდვა, მთავრობამ დააკანონა კონცესიონერების განთავისუფლება ნაციონალიზაციისა, რეკვიზიციისა და კონფისკაციისგან და მიანიჭა მათ მთელი რიგი შეღავათები საქმის წარმატებით წარმართვისათვის. კერძო სავაჭრო ტრიალის და შუამავლობის სრული თავისუფლება დაწესებულია მთელი რიგი კანონებით. ც. ა. კ. ნება დართო საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს რუსულ, უცხოელ და შერეულ წარმოებათა ორგანიზაციისა დასამზადებლად საქონლის ექსპორტისა და სახალხო მეურნეობის აღდგენასა და შინაურ საქონლის გაცვლა-გამოცვლისათვის საჭირო საგნების იმპორტისა.

სამოქალაქო სავაჭრო ტრიალის სიმტკიცისათვის მზადდება მატერიალურ სამოქალაქო უფლების კოდექსი. უკვე გამოცემულია წესდება თამასუქების შესახებ, აგებული კანონმდებლობის პრინციპებზე, რომლებიც მიღებულია ჰაგის კონფერენციის მიერ 1912 წლის 23 ივლისს. გამოიცა კანონი სავაჭრო ამხანაგობებისა და სააქციონერო კამპანიებზე.

უკანასკნელი დეკრეტი ითვალისწინებს აგრეთვე შერეულ სააქციონერო საზოგადოებებს, რომლებშიაც პაების ნახევარი ეკუთვნის სახელმწიფოს.

აღდგენილი იქნება კოოპერატიული ადვოკატურა. სამოსამართლო აპარატის გაუმჯობესება შეადგენს ამ ჟამად საბჭოთა მთავრობის განსაკუთრებული ზრუნვის საგანს.

გენუას კონფერენციის შესახებ

საფრანგეთის ფარისევლობა.

ნაუენი. 23 მარტი. რადიო, „იზვესტია“ კრიტიკას უკეთებს საფრანგეთის ექსპერტების დადგენილებას, რუსეთის ეკონომიურად აღდგენის პირობების შესახებ.

რ. ს. ფ. ს. რ. მთავრობის ოფიციალური გაზეთი ამტკიცებს, რომ საფრანგეთს განზრახული აქვს ალყა შემოარტყას რუსეთს. „პრავდა“ ადასტურებს ამას და თავის მხრივ აღნიშნავს, რომ ევროპის დიპლომატია ყოველ ზომებს ხმარობს შექმნას გენუაში ერთიანი ანტი-ბოლშევიკური ფრონტი დ ამიტომ რუსეთმა ყოველ ზომას უნდა მიმართოს რომ აიცილოს მოსალოდნელი საშიშროება.

ექსპერტები.

ნაუენი. 23 მარტი. რადიო. ოთხშაბათს ექსპერტთა თათბირი შეუდგა ინგლისის გეგმის განხილვას რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენის შესახებ. პრინციპიალურად გადაწყდა განიხილონ ეს საკითხი დაწვრილებით ცენტრალურ ევროპის რეორგანიზაციის საკითხის განხილვის შემდეგ. მესამე საკითხად დასმული იყო კონსორციუმის შექმნა და მისი მუშაობის პირობები.

ინგლისის დელეგაცია.

ნაუენი. 23 მარტი, რადიო, ჩემბერლენმა აცნობა თემთა პალატას, რომ გენუაში გასაგზავნ ინგლისის დელეგაციის შემადგენლობაში შევლენ: ლოიდ-ჯორჯი, ლორდ კერზონი და რობერტ ხორი.

ხალხთა ლიგა გენუაში.

პარიზი. 23 მარტი. რადიო. 24 მარტს პარიზში შესდგება ხალხთა ლიგის საბჭოს სხდომა. ხალხთა ლიგის მიერ გენუას კონფერენციაში მონაწილეობის მიღების საკითხის და ამ კონფერენციისათვის ყოველ გვარი სამზადისის განსახილველად.

თათბირის დღიურ წესრიგში დასმულია აგრეთვე საკითხები რუსეთის ლტოლვილთა და განიარაღების კომისიაში ახალ წევრების დანიშვნის შესახებ.

რუსეთ გერმანიის დაახლოება.

ბორდო. 23 მარტი. რადიო. კრამარჟი, გამოვიდა რა პრაგაში არჩევნების წინა კრებაზე, განაცხადა—თავისი სკეპტიკური შეხედულება მომავალ გენუას კონფერენციაზე. კრამარჟის აზრით, ევროპაში ზავის დამყარების პირველ პირობას წარმოადგენს რუსეთის და გერმანიის დაახლოების დაუშვებლობა. მიუხედავად ამისა გენუას კონფერენცია უეჭველად ხელს შეუწყობს ამას. კრამარჟის აზრით, რუსეთს არ უნდა აღმოუჩინონ დახმარება, ვინაიდან თუ რუსეთს ამ ჟამად აღმოუჩენენ ფულით დახმარებას, ეს გამოიწვევს მხოლოდ ბოლშევიზმის გაძლიერებას.

გენუა და ამერიკა.

რომი, 23 მარტი, რადიო, „ცენრტალ ნიუზის“ ცნობით ამერიკის წარმომადგენლად გენუას კონფერენციაზე მეთვალყურის სახით დანიშნულია რომში მყოფი ამერიკის ელჩი ჩაილდი.

გერმანია ემზადება.

პარიზი. 5 მარტი. „მატენი“ იტყობინება: რეიხსტაგის ეკონომიური საბჭო ენერგიულად ემზადება გენუას კონფერენციისათვის, საბჭოს ერთ სხდომაზე გერმანიაში არსებულ მრეწველთა საზოგადოების წარმომადგენელმა ბუხერმა აღნიშნა, რომ გენუას კონფერენციამ, მისი აზრით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მსოფლიო ბაზრის რეორგანიზაციას. სახელდობრ საგანგებო მეურნეობის თვალსაზრისით უნდა მიუდგენ რუსეთის საკითხს, რომელსაც გერმანიის მრეწველობა უნდა მოეპყრას შესაძლებელ ყურადღებით. ბუხერმა აღნიშნა, რომ გერმანის პრაქტიკულად აინტერესებს რუსეთის ხე-ტყის და სასოფლო მეურნეობის მრეწველობა. სასურველი იქნებოდა, გენუაში მოლაპარაკების დროს, სახელდობრ ეს საკითხი გადაწყვეტილიყო დადებითად გერმანიისათვის, ე. ი. გერმანიას მიეღო მონაწილეობა სახელდობრ ხე-ტყის და სასოფლო მეურნეობის მრეწველობის აღდგენაში.

იტალია და გენუა.

რომი. 10 მარტი. ყოფილ გარეშე საქმეთა მინისტრის ტიტონის გენუას კონფერენციის თავმჯდომარედ დანიშვნას წინ გადაეღობა მოულოდნელი დაბრკოლება, რადგანაც, თანახმად კანის კონფერენციის დადგენილებისა, გენუას კონფერენციის შემადგენლობაში შეუძლიათ შევიდენ მხოლოდ მთავრობის წევრები. იტალიის პრემიერმა კი ინახულა ტიტონი და დაპირდა გამოსცეს სათანადო აქტი. რომის პრესის ცნობით ტიტონიმ უკანვე დაიბრუნა თავის უარი.

რუსეთის და საფრანგეთის დიპლომატია.

პარიზი, 3 მარტი, „ტანი“ წერს: გონიერულმა საქმიანმა პოლიტიკამ გაიმარჯვა კაპიტალისტურ პოლიტიკაზე საფრანგეთში. სჩანს, რომ საფრანგეთის დიპლომატია გენუას კონფერენციაზე ენერგიულ ოპოზიციას შეხვდება რუსეთის მხრივ. გაზეთს შემდეგ მოყავს ჩიჩერინის სიტყვები, რომელმაც განაცხადა, რომ რუსეთი ისწრაფის ევროპის აღდგენის საქმეში თანამშრომლობისაკენ, მას შეუძლებლად მიაჩნია დაუშვას თავის შინაურ ცხოვრებაში სხვისი ჩარევა და რუსეთის უზომო ექსპლოატაცია ევროპის მწარმოებელთა საკეთილდღეოდ.

ამერიკის წინააღმდეგობის მატარებელი პოლიტიკა.

პარიზი, 3 მარტი. „ტანი“ აღნიშნავს ამერიკის მთავრობის წინააღმდეგობის მატარებელ პოლიტიკას, რომელმაც თავის მოქმედებაში ვერ გაამართლა ვილსონის მთავრობის მიერ წარმოშობილი პრინციპები. იმ დროს, როდესაც ამერიკის მთავრობა აწარმოებს ოფიციალურად რუსეთის მიმართ შეურიგებელ პოლიტიკას, ამავე დროს მისი საქველმოქმედო საზოგადოებანი, რომლებშიაც შედიან აგრეთვე მთავრობის წარმომადგენლებიც, განაგრძობენ თავიანთ კეთილშობილურ მუშაობას რუსეთის დამშეულთა დასახმარებლად. აძლევს რა ხორბალს რუსეთს, ამერიკის მთავრობა ამავე დროს დაჟინებით ლაპარაკობს, რომ ეს დახმარება ჯერ კიდევ არ ნიშნავს საბჭოთა რუსეთის არც ფაქტიურად და არც იურიდიულად აღიარებას. სასურველი იყო ამერიკის მთავრობას ასე თუ ისე გამოერკვია თავის დამოკიდებულება ევროპის საქმეებისადმი. სამწუხაროდ, ამერიკის მთავრობას ალბად ეს არ სურს, და ეს ნაწილობრივ მტკიცდება იმ ფაქტით, რომ მას არ უნდა მიიღოს მონაწილეობა გენუას კონფერენციაზე.

ბურჟუაზიული პრესა რუსეთის შესახებ

სასოფლო მეურნეობა რუსეთში

პარიზი, „პტი ჟურნალი“, დაწვრილებითი ანალიზს უკეთებს რუსეთის სასოფლო მეურნეობის მდგომარეობას. გაზეთი აღნიშნავს: „საბჭოთა მთავრობა ბოლოს მივიდა იმ დასკვნამდი, რომ საბჭოთა რუსეთის წვრილ მეურნეობას შეუძლია განვითარდეს მხოლოდ წვრილ-ბურჟუაზიულ ნიადაგზე. გლეხებს უფლება ეძლევათ მიწის მფლობელობის ფორმის თავისუფლად არჩევისა.

მათ ეძლევათ სასოფლო-მეურნეობის სესხი, არსდება კოოპერატივები და სხვა. ეს რასაკვირველია ერთად ერთი საშუალებაა იმისათვის, რომ თავიდან აიცდინონ ვებერთელა კატასტროფა. პარიზში მიღებულ ცნობებით ნათესის საერთო სივრცე რუსეთში 1921 წ. უდრიდა ნორმალურის ერთ მესამედს. 1920 შედარებით ცხენების რაოდენობა შემცირდა 60 პროც. ომის წინა დროსთან შედარებით. გლეხობამ 1921 წ. მიიღო სულ 7.000 სასოფლო მეურნეობის იარაღები, იმ დროს როდესაც, 1913 წ. მათ მიიღეს 1,800,000 იარაღი. საერთოდ გლეხური მეურნეობა იმყოფება უფრო ცუდ მდგომარეობაში, ვინემ მრეწველობა. საჭიროა ყოველივე ღონის ხმარება რომ დავიხსნათ რუსეთის მეურნეობა საბოლოვო დაღუპვისაგან. რუსეთიდან მოსულ ცნობებით ამ მიმართულებით ყოველივე ზომები უკვე მიღებულია.

მდგომარეობა ევროპაში

ნიუ-იორკი, 18 მარტი „ამერიკენ ექსპორტერს“ მოყავს ამერიკის ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის გუვერის ცნობა ევროპის ვაჭრობა-მრეწველობის მდგომარეობის შესახებ. გუვერის ცნობებით, ევროპაში ნელ-ნელა მყარდება ნორმალური მუშაობა და ძლიერდება წარმოება. ამას ამტკიცებს კერძო საკრედიტო დაწესებულებათა მუშაობა, რომლებიც დიდ ენერგიას იჩენენ. გარდა იმ ადგილებისა, სადაც სამრეწველო ცხოვრება საბოლოვოდ დანგრეულია, ყველგან ვაჭრობა და მრეწველობა გამოცოცხლდა. უკანასკნელ თვეების განმავლობაში თითქმის ნორმალურ მდგომარეობამდი იქნა აყვანილი გზები და გადასაზიდი საშუალებანი.

სახელმწიფოთა შორის ნორმალურ დამოკიდებულებათა აღდგენა ხვდება დაბრკოლებებს წმინდა ხელოვნურ ზღუდეს სახით, მაგრამ მაინც არის იმედი ვაჭრობა-მრეწველობის ახლო მომავალში სრული აღდგენისა. ამერიკას სწამს ევროპის ეკონომიურად აღდგენა და ამის დამამტკიცებელთაგანია ის გარემოება რომ ამერიკამ მისცა რა დანიას სესხად 30 მილიონი დოლარი, აიღო სრულიად უმნიშვნელო პროცენტები—სულ 6 ნახ. პროც.

ახლო აღმოსავლეთში

ნიუ-იორკი, 25 მარტი. „ამერიკენ ექსპორტერს“ მოყავს ამერიკის სავაჭრო პალატის თავმჯდომარის ტომასის მიერ გაკეთებული განცხადება ბანკეტზე, რომელიც გაიმართა ტომასის ოსმალეთიდან ჩამოსვლის გამო. ტომასმა შესრულა რა დიდი მოგზაურობა ახლო აღმოსავლეთში, როგორც ნავთის ფირმის „სტანდარტ ოილ კამპანიის“ დირექტორმა; ტომასი აღნიშნავს, რომ მან ძლიერ კარგი შთაბეჭდილება მიიღო ამ მოგზაურობიდან და ძლიერ ოპტიმისტურად უცქერის ახლო აღმოსავლეთის ეკონომიურ მომავალს. მიუხედავათ უკანასკნელ წელთა სიმძიმისა, ოსმალეთს შეუძლია მოკლე დროში აღადგინოს ნორმალური ეკონომიური ცხოვრება. ტომასი იყო არა მარტო ოსმალეთში, არამედ საბერძნეთში, რუმინიაში, ბოლგარიაში და სამხრეთ-სლავიაში. ახლო აღმოსავლეთში ეკონომიურ წონასწორობის აღდგენისათვის ტომასის აზრით საჭიროა ყველაზე უწინ ურთიერთ მეტოქეობაზე უარის თქმა და ამერიკის მწარმოებელთა შორის სრული კონტაქტის დამყარება.

დამოკიდებულება პარიზში

პარიზი, 2 მარტი. გაზეთ „ეკლერი“ სწერს: გერმანიის მთავრობა ამდენხანს ნებას აძლევდა თავის ფინანსისტებს, მრეწველებს და კომერსანტებს ეწარმოებიათ რუსეთში ესა თუ ის ოპერაციები საკუთარი გამბედაობით და შიშით. ეხლა გერმანიის მთავრობა გადავიდა გერმანიასა და რუსეთის შორის სავაჭრო დამოკიდებულების გაძლიერების სურვილის ფაქტიურ აღიარებაზე. გერმანიამ გადაწყვიტა დაარსოს ცენტრალური საინფორმაციო სააგენტო გერმანიის მრეწველობის საჭიროებისათვის. ამ გზით გერმანია იქნება რუსეთის ყველა ეკონომიური მდგომარეობის კურსში. გერმანიის ეს ტაქტიკა უნდა მიეღო საფრანგეთსაც. ინფორმაციის სერიოზულად დაყენებით მოკავშირეებს საშუალება ექნებოდათ გარკვეულიყვენ იმ ერთი მეორის მოწინააღმდეგე ცნობებში, რომელსაც იღებენ რუსეთის შესახებ და იმ საწინააღმდეგო მასალებში, რომლებსაც წარადგენს რუსეთი.

საანკეტო კომისია

პარიზი, 12 მარტი. „პტი ჟურნალს“ მოყავს ცნობა „ნასიონ ბელჟ“-იდან, რომლითაც იტყობინება, რომ ბელგიაში აღიძრა საკითხი საერთაშორისო საანკეტო კომისიის შექმნის შესახებ, რომელმაც უნდა შეკრიბოს ყველა საჭირო ცნობები რუსეთის თანამედროვე ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ. „პტი ჟურნალის“ აზრით საჭიროა დაუყონებლივ გამოყენებულ იქნას ეს გეგმა და შეუდგენ ბოლოს რუსეთის ბაზრის პრაქტიკულად შესწავლას.

წითელ რესპუბლიკებში

ამხ. კამენევი მიმდინარე მომენტზე.

მოსკოვი. 25 მარტი, (რადიო). მოსკოვის საგუბერნიო პარტიულ კონფერენციაზე გამოვიდა ამხ. კამენევი, რომელმაც აღნიშნა, რომ 2 აპრილს ბერლინში უნდა შესდგეს ყველა 3 ინტერნაციონალების აღმასკომების წარმომადგენელთა გაერთიანებული სხდომა. „ჩვენ მივდივართ იქ, განაცხადა ამხ. კამენევმა, რომ გამოვააშკარავოთ მე-2 და 2 ნახ. ინტერნაციონალების ბელადები, და უშუალოდ მივმართოდ იმ მოტყუილებულ მასებს, რომლებიც ჯერ კიდევ მიყვებიან მათ“. გენუას შესახებ ამხ. კამენევმა სთქვა, რომ პირდაპირ შედეგებს გენუის კონფერენცია ვერ მოგვცემს, მაგრამ მისი შედეგი იქნება საბჭოთა მთავრობის ცნობა, რუსეთის მშრომელ ხალხის ამ კანონიერ წარმომადგენლობის აღიარება. ამხ. კამენევი შეეხო რ. კ. პ. და ამბობს, რომ პრინციპიალური უთანხმოება პარტიაში არ არის. ეს უთუოდ მოახდენს გავლენას ჩვენს პარტიაზე. უნდა მიღებულ იქნას გადამწყვეტი ზომები პარტიის პროლეტარული შემადგენლობის და მისი პროლეტარული ხაზის დაცვისათვის, პარტიამ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს წმინდა პარტიულ ამოცანებს და უნდა გახდეს მუშათა მასების განათლების და ორგანიზაციის აპარატად. პარტიის მე-XI ყრილობის წინა დღეებში ჩვენ უფრო ძლიერნი ვართ, ვიდრე ვიყავით მე-X ყრილობის წინ. „ჩვენ აბსოლიუტურად დარწმუნებული ვართ, დაამთავრა ამხ. კამენევმა, რომ ჩვენ დავიჭირეთ სწორი ხაზი, და ჩვენი გადახვევა ამ ხაზიდან შეუძლებელია და ჩვენი პარტია დარჩება მთლიანი.

სავაჭრო ყრილობა.

მოსკოვი. 23 მარტი, (რადიო). გუშინ გაიხსნა სრულიად რუსეთის პირველი სავაჭრო ყრილობა. ყრილობის თავმჯდომარემ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს „ცუსა“-ს უფროსმა ამხ. გიმბარგმა გაზეთების თანამშრომლებთან საუბარში განაცხადა: „მოსკოვში ხანგრძლივი შეწყვეტის შემდეგ პირველად შეხვდა მთელი მოვაჭრე რუსეთი. უკვე ჩამოსულია 100-მდე დელეგატები. ჩამოვიდენ წარმომადგენლები არხანგელსკის, ვიატკის, უფის გუბერნიებიდან, ყირიმიდან, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და წარმომადგენლები ცენტრალურ გუბერნიებიდან. ყრილობის მიზანია გამოარკვიოს სახელმწიფო წარმოებათა მოთხოვნილება და დაკმაყოფილება, გამორკვევა რამდენად შეუძლიან მათ თავისი საკუთარი პროდუქციით და საკუთარი საქონლის ფონდით დაფარონ თავის მოთხოვნილება, რამდენად შეუძლიან მათ უზრუნველყონ თავისი პროდუქციის განაღდება და რამდენად საჭიროა მათთვის კერძო ბაზარი. ყრილობაზე მორიგება მოხდება არა მარტო თუ საქონლის არსებულ მარაგზე, არამედ ვადაზეც. ამ აზრით ვუწოდებთ ჩვენ ყრილობას საკონტრაკტო ბაზრობას. ცენტრალური სავაჭრო განყოფილება—ეს ვაჭრობის სახელმწიფო ცენტრი—გამოვა ყრილობა ბაზრობაზე ისეთი ორგანოს როლში, რომელიც გაართიანებს ცალკე საგუბერნიო მომარაგების განყოფილებების, სამმართველოების და ტრესტების საერთაშორისო მოთხოვნილებას. სავაჭრო ოპერაციების მოქმედების გარდა, ყრილობა, ალბად, გამოაშკარავებს სახელმწიფოებრივი ვაჭრობის მოთხოვნილებას და საარსებო საკითხებს, რომელსაც აყენებს მიმდინარე სავაჭრო პოლიტიკა.

ამხ. კრასინი საგარეო ვაჭრობის შესახებ.

მოსკოვი. 25 მარტი, (რადიო). სრულიად რუსეთის სასურსათო თათბირზე გამოვიდა საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარი ამხ. კრასინი მოხსენებით საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის აუცილებლობაზე. „საგარეო ვაჭრობის მონოპოლია შედგება არა იმაში, რომ ვივაჭროთ საზღვარ-გარეთ აუცილებლად [illegible] კომისარიატის საშუალებით, არამედ იმაში, რომ [illegible] მორიგება საზღვარ-გარეთ უნდა ხდებოდეს საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კონტროლს ქვეშ. ჩვენ ვართ ეხლა საზღვარ-გარეთ ყველაზე მსხვილი მყიდველი და გამყიდველი. ჩვენ ანგარიშს გვიწევენ, ჩვენ გველაქუცებიან. ჩვენ არას შემთხვევაში არ უნდა გავხსნათ საზღვრები თავისუფალი ვაჭრობისთვის. ეკონომიურად დამონავებას, უეჭველად მოყვება პოლიტიკური ინტერვენცია. ჩვენ ეხლა ვიმყოფებით უცხოეთის ფირმებთან მთელ რიგ ხელშეკრულებათა დადების წინ.

საგარეო ვაჭრობის მონოპოლიაზე ჩვენ არ ვიტყვით უარს, სანამ რუსეთს განაგებენ მუშები და გლეხები. მონოპოლიის წყალობით ჩვენ მოვაღწიეთ ბევრ გამარჯვებამდე დიპლომატიურ სფეროში, და მივაღწევთ საბჭოთა რუსეთის საბოლო ცნობას. ახალი ეკონომიური პოლიტიკა (გამოტოვ.)... კაპიტალიზმისა რუსეთში. მიწების, მრეწველობის და ტრანსპორტის ძირითად დარგების ნაციონალიზაცია და აგრეთვე საგარეო ვაჭრობის მონოპოლია არ გაგვიუქმებია და არც გაუქმდება.

კაპიტალიზმის სამეფოებში

მუშათა საერთაშორისო მდგომარეობა.

მოსკოვი 24 მარტი, რადიო. გრანდიოზული ლოკაუტის გამო, რომელიც ინგლისის ნაოსნობის და მანქანათა სააღმშენებლო მრეწველობის მეპატრონეებმა გამოაცხადეს, და რომელიც ასიათასობით მელითონეებს სიმშილის სიკვდილით ემუქრება, წითელი პროფინტერნის აღმასკომმა მიმართა ამსტერდამის პროფკავშირების ინტერნაციონალს შემდეგი რადიოთი: „ინგლისში დაიწყო გრანდიოზული ლოკაუტი. ასიათასობით მელითონეები გამოყრილია ქუჩაზე. მწარმოებლების გამარჯვება გავლენას მოახდენს ყველა ქვეყნების მელითონეების სამუშაო ხელფასის შემცირებაზე, იმის მსგავსად, როგორც მემადაროების უკანასკნელი გაფიცვა დაეტყო ყველა ქვეყნების მემადაროების ბედს. ჩვენ წინადადებას ვძლევთ ერთად მოვაწყოთ საერთაშორისო კამპანია ლოკაუტის წინააღმდეგ, მოვახდინოთ სავალდებულო წვლილის გაღება ქუჩაში გასროლილ ამხანაგებისთვის, ყველა ქვეყნების მელითონეთა შორის, და მოვუწყოთ ბოიკოტი ინგლისელების შეკვეთას წარმოების ამ დარგში“.

ტორნში 18 მარტს შესდგა მიტინგი 5,000 მუშის მონაწილეობით.

ლვოვში გრძელდება სტამბების მუშების გაფიცვა.

ბრესლავლში გრძელდება მემადაროების გაფიცვა.

კრუმონში სოციალისტური და კათოლიკური პროფკავშირების შეთანხმების გამო ფაშისტების წინააღმდეგ საბრძოლველად, იტალიის შრომის ფედერაციის ორგანო წერს: „როცა ბურჟუაზია ემუქრება მუშების ძირითად უფლებებს, პროლეტარიატის პოლიტიკური სხვადასხვაობა უნდა გადაიდვას განზე, რადგანაც ერთად ერთ ამოცანას მაშინ შეადგენს კლასიურ ინტერესების დაცვა. მხოლოდ გადამწყვეტი მოქმედების გზით შეიძლება შეიარაღებულ მტერს ხელი შეუშალო მუშების გამარჯვებაზე.

ჩეხის ოფიციალურ ცნობების თანახმად, ჩეხიის 32 ფოლადის ჩამომსხმელ ქარხნების მიერ გამოცხადებული ლოკაუტისაგან უმუშევრად რჩება 26,000 მუშა.

საფრანგეთის პრესა აღნიშნავს პალატის დეპუტატად რენოჟანის შესანიშნავ სიტყვას, წარმოთქმულს მილიტარიზმის და იმპერიალიზმის წინააღმდეგ. რენო ჟანმა განაცხადა რომ პროლეტარიატს ურჩევნია აჯანყება ახალ ომს. თუ ბურჟუა მისდევს დივიდენტს, პროლეტარიატისთვის არა ნაკლებ ძვირფასია საფრანგეთის 1792 წლის სოციალური რევოლიუცია, რომელსაც ის მიიყვანს გამარჯვებამდე.

გერმანიის პოლიტიკის დამარცხება

ნაუენი, 24 მარტი (რადიო). გერმანიის მთავრობა იხილავს პასუხს საკონტრიბუციო კომისიის უკანასკნელ ნოტაზე. საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არაა. საზოგადოება ძლიერ გაჯავრებულია ანტანტას ახალ მოთხოვნილების გამო. მოსახლეობის ყველა პარტიები და წრეები შეუსრულებლად სთვლიან ამ მოთხოვნებს, რომლებსაც გერმანიის სახელმწიფო მეურნეობა კატასტროფისკენ მიჰყავთ. მემარჯვენე პარტიები განსაზღვრულად აცხადებენ, რომ ვირტისა და რატენაუს პოლიტიკა მთლად დამარცხდა. თუ მთავრობა ამავე პოლიტიკას დაადგება მომავალშიაც, მაშინ აუცილებელია მეორე რევოლიუცია, რომელიც გაცილებით მეტს ზარალს მოუტანს ქვეყანას, ვიდრე 1918 წლის რევოლიუცია.

ანტანტას მოთხოვნები მიუღებელია

ბერლინი, 24 მარტი. (რადიო). ცენტრის პოლიტიკური ჯგუფები გერმანიაში შექმნილ მდგომარეობას სთვლიან მეტად სერიოზულად. მთავრობა შეიძლება დარჩეს თავის ადგილას, ან გადადგეს, მაგრამ ერთსა და მეორე შემთხვევაშიაც, მთავრობამ და მთელი გერმანიის ხალხმაც მიუღებლად უნდა იცნონ ანტანტის მოთხოვნები.

„ბერლინერ ტაგებლატი“ გაბედულად მოითხოვს, გერმანიამ ხმა მაღლა უნდა განაცხადოს, რომ ანტანტას არ სურს შეთანხმებაო.

შორეულ აღმოსავლეთის ამბები

საუბარი ამხ. კუშნეროვთან.

მოსკოვი, 25 მარტი, რადიო. შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის თავმჯდომარემ ამხ. კუშნეროვმა გაზეთის თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა: კაპელოვის ლაშქარი, როგორც სამხედრო ერთეული, ამ ჟამად უკვე აღარ არსებობს. ჩვენმა ლაშქარმა მიაყენა მათ ორი მნიშვნელოვანი ზარალი: ვოლოკაევთან და კაზაკოვიჩთან. ხუთი დღის ბრძოლის შემდეგ ჩვენ დავიჭირეთ ხაბაროვსკი. იმანიდან 30 ვერსზე იწყება სადემარკაციო ხაზი. 1920 წ. შეთანხმების ძალით ამ რაიონში, როგორც ჩვენ, ისე იაპონელებს არ შეუძლიათ იყოლიონ შეიარაღებული ძალები. იაპონელებმა პირველად დაარღვიეს ეს შეთანხმება. როგორი პოზიციას დაიჭერენ ახლა ისინი, ძნელია მისი თქმა, მაგრამ თეთრი პრესის ცნობით, იაპონელებმა დაარწმუნეს მერკულოვცები, რომ ისინი ჩვენ სადემარკაციო ხაზს იქით არ გამოგვიშვებენ. ნიკოლაევ-იმანის მიდამოებში, სადაც თავს იყრიან თეთრ ბრბოების ნაწილები, მოქმედებენ ორმოცამდე პარტიზანული რაზმები, რომლებიც ძლიერ ხელს უშლიან თეთრების ოპერაციებს. პარტიზანული რაზმები შედგებიან უმთავრესად ადგილობრივ გლეხებისაგან, რომლებიც შეშინებული არიან მერკულოვის ბრბოებისაგან. ვლადივოსტოკ-ნიკოლაევსკის რაიონში (100 ვერსია) პარტიზანთა რაზმები შესდგებიან სუჩანსკის მადნების, რკინის გზის და ქალაქის მუშებისაგან. განწყობილება ზღვის ნაპირის ოლქებში საშიშია, თეთრების გამოჩენილი და პასუხისმგებელი მუშაკები ცდილობენ საზღვარ-გარეთ გარეთ გასვლას. თვით მერკულოვი ამ დღეებში გადააყენეს მის შემდეგ, როდესაც, გაუგეს იაპონიაში თავის ძმის სახელზე ნახევარ მილიონ ოქროს მანეთის გადაგზავნა და გაპარვის განზრახვა. როგორც ცნობილია დაირენის კონფერენცია გაიხსნა 5 სექტემბერს, მაგრამ დღემდის მას რეალურად არაფერი არ გაუკეთებია. იაპონია აწარმოებს ნელ და გაიძვერა პოლიტიკას. იაპონიის ძირითადი მოთხოვნილება არის მისცენ მას განსაკუთრებული ეკონომიური პრივილეგიები. ჩვენი ძირითადი მოთხოვნილება შემდეგი მოლაპარაკების წარმოებისათვის არის—რუსეთის ტერიტორიიდან იაპონიის ჯარის გაყვანა, რაც არ იამებათ იაპონიის იმპერიალისტებს, უკანასკნელ ხანებში რ. ს. ფ. ს. რ. და შ. ა. რ. შორის უფრო

თესვის კამპანია

რაჭის მაზრაში.

პირობები საგაზაფხულო თესვის ნ რაჭის მაზრაში მძიმეა. რაჭის ზრის თესვის კომისიის თავმჯდომისაგან მიღებულია მოკლე, მაგ- მ უაღრესად დამაფიქრებელი დე- შა მაზრაში საქმეთა მდგომარეობის სახებ:

ქერის და ხორბლის თესვა დაიწყო. თესლი არ გვაქვს. არსებული მარაგი ხმარებულ იქნა დამშეულ მოსახ- ლობის მიერ ზამთრის განმავლობა- . გასაჭირი უდიდესია. გადადებუ- ი სამი ვაგონი ხორბალი არ აკმაყო- ილებს სათეს მასალის მოთხოვნი- ების ერთ მეათედსაც. გამოგზავ- თ დამატებით კიდევ 5 ვაგონი რბალი და შვრიების და გვარად რი“.

ანალოგიური დეპეშაა მიღებული აჭის ალმასკომის თავმჯდომარი- გან:

„მაზრა სიმშილის მუხრუჭშია მომ- ყვდეული.

რაჭის მაზრა გაშლილია რიონის რივე ნაპირებზე; აღმოსავლეთით აზღვრება თერგის ოლქს, რომლისაგან გაყოფილია მამისონის უღელ- ტეხილით. მოსახლეობა უმთავრესად სდევს პურის თესვას და მემინდვ- რეობას, ხოლო მთიან ადგილებში საქონლეობას. მაზრაში განვითარე- ლია სარეწაოდ გასვლა: მოსახლეო- მიდის სამუშაოდ, უმთავრესად, რგის ოლქში, კახეთში, იმერეთში სამეგრელოში.

რაჭველები მშვენიერი დურგლები ხელოსნები არიან. მოყავთ უმ- თავრესად ხორბალი, ქერი და სი- ნდი.

მაზრაში მდგომარეობა სერიოზუ- ლია. საჭიროა დაუყონებლივი, სას- რაფო, რიგს გარეშე დახმარება სა- თესლე მასალით შემდეგი მოსაზრე- ბის მიხედვით: პირველი, მთელი ზრა დიდად დაზარალდა ზარშან- ლი გვალვისაგან, რომელმაც გა- მოიწვია მოუსავლობა, მეორე, თესვა იწყება ადრე, ხორბლის, ქერის, თესვა აქ უნდა დასრულდეს მარტის ლოსთვის, (ძველი სტილით), მესა- , რაჭის მაზრის გლეხები, როგორც ეორე მიწის პატრონნი, წარსულ ლებშიაც, მოსავლიან წლებშიაც, რაველთვის იკვებებოდნენ უმთავრე- დ თერგის ოლქიდან შემოზიდული ურით. საჭიროა განსაკუთრებით ესვას ხაზი, რომ დაგვიანებით და- სილი პური არ მწიფდება, ხოლო რცვლის ამოსვლის და კარგი მო- ვლის შემთხვევაშიაც, უკანასკნელი ერგისია, სათესი მასალა კი, თესვა- დახარჯული, უნაყოფოა.

აღნიშნული გარემოებები განსაკუთ- ებით უნდა ვიქონიოთ მხედველობა- მაზრის სათესლე მასალით მომა- აგების დროს. უნდა დავაჩქაროთ თესლე მასალის მიწოდება, მისი დგილობრივად დარიგება და გავა- ლიეროთ საორგანიზაციო მუშაობის ემში მაზრისათვის. არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც მოითხოვს მუშაობის სისწრაფეს. ესაა მაზრის სიშორე რკინის გზიდან, უგზოობა, საზიდ საშუალებათა უქონლობა, რომელნიც საგრძნობლად აძნელებენ სათესლე მასალის მიწოდებას და ადგილობრივად დარიგებას. თესვის ც. კომიტეტის მიერ გაღებული სამი ვაგონი ავსტრალიის ხორბალი ოდნავათაც არ არის საკმარისი. თესვის კომიტეტს უნდა ჰქონდეს თავის განკარგულებაში სულ მცირე კიდე ხუთი ვაგონი სხვა და სხვა სათესლე მასალა თესვის კამპანიის ნორმალურად ჩატარებისათვის.

მაზრა გაყოფილია 4 რაიონად: მთ. რაიონები—უწერის და ონის, რომლებშიაც უკვე დაიწყო ხორბლის და ქერის თესვა, და დაბლობი რაიონები—ამბროლაურის და ჭრებალოს, სადაც ქერის და ხორბლის თესვის გარდა, დაწყებულია აგრეთვე სიმინდის თესვაც.

მიღებული „ავსტრალიის ხორბლის ნაწილი უკვე გადაზიდულია მაზრის ცენტრში—ონში, რომელიც მდებარეობს რკინის გზის სადგურიდან 108 ვერსზე. წარმოებს მუშაობა ხორბლის მეორე ნაწილის გადასაზიდად. სიშორე რკინის გზიდან მოითხოვს უმრავ ხარჯს, ასე მაგალითად, ერთი ვაგონი ხორბლის გადაზიდვა ჯდება 60 მილ. მანეთი.

ყველა ზემოჩამოთვლილი პირობები მოითხოვენ, რათა რაჭის მაზრა იყოს მომარაგებული სათესლე მასალით პირველ რიგში სხვა ზომებთან შედარებით, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ დაგვიანდა მარცვლის მოზიდვა, მთელი კომპანია ჩაიფუშება და მაზრა გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდება. რათაც არ უნდა დაჯდეს, საქმე სისწრაფით უნდა მოგვარდეს; უნაყოფოდ დაკარგულ ყოველ წუთს, ყოველ საათს მოსახლეობისათვის უმძიმესი შედეგი მოყვება, მშრომელ გლეხობის ისედაც შერყეულ მეურნეობას მთლად დაშლის და გამოიწვევს ზამთრის ხანგრძლივ გამანადგურებელ სიმშილს.

არ უნდა ვიქონიოთ იმის იმედი, რომ გლეხებს ექნებათ გადამალული სათესლე მასალა; გლეხებს არ გააჩნიათ დასათესად არც ერთი გირვანქა მარცვალი, მათ არ შესწევთ ძალა რაიმე დამოუკიდებელი მოქმედებისათვის მიმდინარე თესვის კამპანიაში. გლეხებს იმედი აქვთ მხოლოდ მთავრობის დახმარებისა. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ მთავრობა სასწრაფოდ მიიღებს საგანგებო ზომებს და გადაჭრილ ღონისძიებებს რაჭის მაზრის უზრუნველსაყოფად აუცილებელი საშუალებებით და მარცვლით“.

რაჭის თესვის კომიტეტის თავმჯდომარის საპასუხოდ მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატმა გასცა განკარგულება კახეთიდან ონში კიდევ ერთი ვაგონი სათესლე მასალის (სიმინდის) სასწრაფო გადაზიდვისათვის.

ა უფრო მტკიცდება ეკონომიური შირი, რომლისაგანაც ჩვენ ძლიერ ვრს მოველით. ახლო მომავალში სალოდნელია ეკონომიურ შეთანხმების დადება საბჭოთა ხელისუფლებასთან, რომლითაც ჩვენ ვაძლევთ ბჭოთა ხელისუფლებას უპირატესობათა მაქსიმუმს შ. ა. რ. ამოლე- ლ სიმდიდრეზე. სამაგიეროდ ჩვენ ველით საბჭოთა ხელისუფლებისაან ფინანსიურ დახმარებას. ამერიკა უკანასკნელ ხანებში კეთილ მეგობრულად გვეპყრობა. ამერიკის ელჩმა ოლდველმა, დაჰყო რა რამოდენიმე ლე ჩიტაში ვაშინგტონის დავალებით, უკან დაბრუნების დროს კო- ში გამართულ ბანკეტზე წარმოთქვა სიტყვა ჩიტაში არსებულ მდგომარეობის შესახებ, რომელშიაც აღნიშნა, რომ შ. ა. რ არის კონსტიტუციონური ფორმა მართვა-გამგეობისა და მისი მდგომარეობა საერთოდ კარგია. რაც შეეხება შ. ა. რ. მდგომარეობას, შეიძლება ვიქნეთ დარწმუნებული, რომ თეთრ ბანდებს ლე მოსპობენ. გადასახადი შეძლე- ლ მოსახლეობაზე წარჩინებით რდება. სასურსათო გადასახადმა, რომელიც შემოიღეს რამოდენიმე თვის წინათ, უკვე მოგვცა 500,000 მანეთი ოქროთი. უკანასკნელ ხანებში გაცემულია ბევრი კონცესიები. მსხვილი კონცესიები მისცეს ამერიკის რამოდენიმე ფირმებს. 28 აპრილისათვის მოწვეულია შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის სახალხო თათბირი.

ფრონტზე

ჩიტა, 13 მარტი, (რადიო). ოპერატიული ცნობა. სახალხო რევოლიუციონურ ჯარისა 13 მარტის რიცხვით: ფრონტზე შეტაკებები მოსდით მწვერავ რაზმებს. მოპირდაპირე თავს უყრის დიდ ძალებს.

ჩიტა, 19 მარტი. რადიო. სახალხო რევოლიუციონურ შტაბის ცნობით, სახალხო რევოლიუციონურმა ჯარმა უბრძოლველად დაიკავა იმანი.

იმანზე ხიდის შესაკეთებლად სწარმოებს მუშაობა. მტრის ჯარი უბრძოლველად იწევს სამხრეთისაკენ.

ქემალის ჯარის გამარჯვება.

ტრაპიზონი. 18 მარტი. რადიო. ანგორიდან ოფიციალურად იუწყებიან: კოჯა-ელისა და ესკი-მეხირის მიმართულებით ჩვენმა მწვერავთა რაზმებმა დაამარცხეს მოწინააღმდეგე და ხელთ იგდეს სამხედრო დავლა და ტყვეები.

ქრონიკა

◆ **ექსპერტთა კომისიის მუშაობა.** რომის სახ. კომისარიატის მუშათა ლის აღმრიცხველ განყოფილების სპერტების კომისიამ გამოსცადა ებერვლის განმავლობაში 329 უმუ- ევარი, რომელთაგან ,გამოცდა კარ დ დაიჭირა 247 კაცმა, ხოლო 78 ცმა ვერ დაიჭირა. ამას გარდა, 22 უშევრის გამოცდა გადადებულია ფილტრაციო სამეულისგან საბუთე- ს წარმოდგენამდე

◆ **ხაკონტროლო აპარატის მოქ- დება.** შრომის კომისარიატის სა- ტროლო აპარატმა მუშაობიდან ხსნა სამსახურში არა წესიერად მიღების გამო: მუშათა მთლიან კოოპერატივში—20 კაცი და გამასწორებელ სახლში № 2—5 კაცი.

◆ **პურის საცხობების დაბეჭდვა.** მუშათა ძალის აღმრიცხველ განყოფილების მიერ გაგზავნილ უმუშევრების სამუშაოდ მიუღებლობის გამო, დაბეჭდილ იქმნა პურის საცხობები სიმონიანცისა წყნეთის ქუჩაზე № 34 და კოტიანცისა ოლგას ქუჩაზე № 10.

◆ **ლობიოს დამზადება.** სახალხო სასურსათო კომისარიატმა მოქ. დათუშიძესთან ხელშეკრულება დასდო, რომლითაც მოქ. დათუშიძემ კომისარიატს უნდა ჩააბაროს ამ მოკლე ხანში 20.000 ფუთი ლობიო.

◆ **სასურსათო კომისარიატი—ჯარს.** სახალხო სასურსათო კომისარიატმა „წითელ ჯარის კვირის“ დღესასწაულში ახალციხის ჯარის ნაწილებს იქაურ თავის საწყობებიდან მისცა: 100 ფუთი ვაშლი, 100 ფუთი კარტოფილი, 50 ფუთი მარილი და 25 სული ბატკანი.

◆ **საზაფხულო თეატრების გახსნა.** გაზაფხულის დადგომის გამო, ყველა საზაფხულო თეატრები ხელახლად იქნება შეკეთებული. უკვე შეუდგნენ ბაღების გაწმენდას და მათში ბუჩქების და ყვავილების დარგვას. საბავშვო სეირნობისთვის გამართულ იქნება მოედნები.

◆ **დახმარება დამშეულებს.** სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ხვეული დგამის ფაბრიკის მუშებმა და მოსამსახურეებმა შესწირეს საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ 876,000 მან.

◆ **საქართველოს პროფკავშირების ცენტრალურ საბჭოს ტელეფონები.** საბჭოს მდივანი ნ. კიკნაძე—16—42; საორგანიზაციო განყ. გამგე ამხ. ოდილავაძე—16—24; სატარიფო-სანორმო განყოფ. გამგე ამხ. ჯუღელი—5—68; შრომის დაცვის განყოფილებს გამგე ამხ. ელბაქიანი—18—15; კულტურულ განყოფილების გამგე ამხ. კურულაშვილი—11—61; საქმეთა მმართველი ამხ. რიაზოვი—7—25.

მილიციაში

დეზერტირობის წინააღმდეგ

ყველა ქალაქის, მაზრის, რკინის გზების და წყლის მილიციის პოლიტ-სეკრეტარიატის უფროსებს.

საქართველოს საბჭოების პირველმა ყრილობამ გადასწყვიტა მუშურ-გლეხურ ხელისუფლების დასაცავათ და განსამტკიცებლად საქართველოში შექმნას ქართული წითელი ლაშქარი.

წითელი ლაშქარი საუკეთესო დარაჯია რევოლიუციისა და უსაშინელესი რისხვა და მესამარეა, როგორც კერძოთ შინაურ, ისე საზოგადოთ მსოფლიო კონტრ-რევოლიუციისათვის.

მუშურ-გლეხური წითელი ლაშქარი, დამცველი მუშათა კლასიურ ინტერესებისა, წარმოადგენს გარდა ფიზიკურ ღირებულებისა დიდ მორალურ და პოლიტიკურ ძალას მსოფლიო პროლეტარიატისათვის.

წითელი ლაშქრიდან დეზერტირობა უსაშინელესი დანაშაულობაა მთელი მშრომელი მასის წინაშე, მოღალატეობა და მტრობაა მუშათა და გლეხთა ინტერესებისა. დეზერტირობა ლახვარს სცემს მუშათა კლასის მედგარ დარაჯს—წითელ ლაშქარს და ასულდგმულებს კონტრ-რევოლიუციას.

ამიტომ სასტიკი შეუბრალებელი ბრძოლა აწარმოეთ დეზერტირობის წინააღმდეგ. განუმარტეთ და შეასისხლხორცეთ მილიციელთა მასას წითელი ლაშქრის შექმნის დიადი მნიშვნელობა და მოუწოდეთ დეზერტირობის წინააღმდეგ სასტიკი და შეუბრალებელი ბრძოლისაკენ.

წინ, მედგრათ, დეზერტირებთან საბრძოლველათ. ამ მიზნით წინადადებას გაძლევთ:

1. დეზერტირობის წინააღმდეგ ბრძოლა დააყენეთ უმთავრეს საბრძოლველ დღის ლოზუნგათ.
2. დაუყონებლივ შეუთანხმდით ადგილობრივ კომპარტიას, ალმასკომს და დეზერტირებთან მებრძოლ კომისიას.
3. გაძლიერებულ იქნას თქვენის მხრივ მეთვალყურეობა მილიციაში მათზე, ვისთვისაც დეზერტირებთან ბრძოლა შეადგენს სამსახურებრივი მოვალეობას.
4. აწარმოეთ ამის მიღებისათანავე განსაკუთრებული აღნუსხვა იმ თანამშრომელთა, რომელნიც განსაკუთრებულ ენერგიას და თავდადებას გამოიჩენენ ყველა იმ დირექტივებისა და ბრძანებების ცხოვრებაში გასატარებლად, რომელნიც შეეხება დეზერტირობასთან ბრძოლას.
5. აგრეთვე აღნუსხული უნდა იქნას ისინი, რომლებიც ჯეროვან ყურადღებით და თავდადებით არ მოეკიდებიან რეზერტირების წინააღმდეგ ბრძოლას.
6. ასლები ასეთი აღნუსხვისა სახელის, მამის სახელის, გვარის, თანამდებობის (პარტიულს ეხება ცნობები თუ უპარტიოს) ჩვენებით და აგრეთვე კონკრეტიული აღნიშვნით იმისა, თუ რაში გამოიხატება მილიციის ამა თუ ის თანამშრომლების თავდადება, უნარიანობა და პასივობა, არა ნების ყოფა, უყურადღებობა დეზერტირობის წინააღმდეგ ბრძოლაში,-ეს ცნობები ყოველ კვირეულად უნდა გადმოგვეგზავნოს მთავარ მილიციის პოლიტ-სეკრეტარიატს დეზერტირობასთან მებრძოლ ცენტრალურ კომისიას (საზღვაო სამხედრო კომისარიატი).

მთელ სიმძიმეს და პასუხისმგებლობას ამ განკარგულების აუსრულებლობაში გაკისრებთ თქვენ.

რესპუბლიკის პოლიტ-სეკრეტარიატის უფროსი **თ. იოგიძე.**

„პროფკავშირების კვირეული“

(ინსტრუქცია პროფკავშირების კვირეულის და კავშირთა ახალ ამოცანების ჩატარებისათვის)

1. კვირეულის ჩასატარებლად, პროფსაბჭოები გამოჰყოფენ სპეციალურ კომისიებს (სამეულებს), რომლებიც გამოიმუშავებენ კამპანიის ჩატარების ზედმიწევნით გეგმას, ქვემო მოხსენებულის თანახმად; ამასთან ეს კომისიები აფართოებენ ან ავიწროვებენ ამ გეგმას ადგილობრივ პირობების მიხედვით.

2. კვირეულის ჩატარება უნდა დაიწყოს პროფსაბჭოს (სამაზრო პროფბიურო), კავშირების გამგეობების, ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების, სამეურნეო და სხვა ორგანოების საზეიმო სხდომით (სასურველია, თუ ტეხნიკურად მოხერხდება, რომ ეს სხდომა დაინიშნოს უდიდეს წარმოებების შენობაში: დეპოსა, სარეწაოსა და სხვა ამისთანაებში ყველა მუშების მონაწილეობით).

დღის წესრიგი დაახლოვებით შემდეგი უნდა იყოს: კვირეულის ამოცანები, პროფკავშირები რევოლიუციის წლებში და ახალი ამოცანები, დასასრულ საკონცერტო განყოფილება.

3. მეორე დღეს შესდგება საზოგადო კრებები წარმოებებში მუშაობის გათავების ერთი საათით წინ შემდეგი წესრიგით: კავშირის მნიშვნელობა მუშებისთვის, იმ კოლექტივის (სადაც კრებაა) მდგომარეობა, ქარხნის მმართველობის და ადგილკომის მოხსენება და არჩევნებში საკავშირთაშორისო კონფერენციაზე გასაგზავნ დელეგატებისა, რითაც თავდება კვირეული. ამ კონფერენციაზე მუშათა მასებს უნდა მიეცეს უფართოესი წარმომადგენლობა ისეთ უბრალო მუშების არჩევისა, რომლებიც არჩეულნი არ არიან ამა თუ იმ თანამდებობაზე ამ დღეს, კრების დასასრულს, მუშებმა ხმის მიცემით უნდა გამოარკვიონ დამოკიდებულება თავიანთ წევრობისადმი, ამისათვის მათ სრული შესაძლებლობა უნდა მიეცეთ თავისუფლად გამოსთქვან თავიანთი ნებისყოფა (უნდა იმოქმედონ ნებაყოფლობით წევრობის ინსტრუქციის თანახმად).

4) კვირეულის მესამე დღეს უნდა შესდგეს კავშირთა წევრების საზოგადო კრებები ან კონფერენციები უდიდეს კავშირებში, უკანასკნელ შემთხვევაში რაც შეიძლება ფართო წარმომადგენლობით; ამ კრებებსა და კონფერენციებზე მოსმენილ იქნება ანგარიშები კავშირის გამგეობისა, მოხსენებები საორგანიზაციო საკითხის, ტარიფის და შრომის დაცვის შესახებ. ყველა საკითხები უნდა დაყენებულ იქნან მტკიცე საქმიან და კონკრეტიულ ნიადაგზე.

5) მეოთხე დღე უნდა უძღვნან საერთაშორისო პროფმოძრაობას და ერთიან პროლეტარულ ფრონტს.

6) მეხუთე დღე უნდა მოანდომონ მოხსენების გაკეთებას კავშირებსა და წარმოებებში მომავალ სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ყრილობის და უკვე დასრულებულ ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა ყრილობის შესახებ, რომელთაგან ამ უკანასკნელმა განახორციელა პროფმოძრაობის გაერთიანება.

7) მეექვსე დღეს უნდა ჩაატარონ მუშა-ქალთა და მოზარდთა (ქალთა განყოფილებებთან და კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირებთან ერთად) კონფერენციები და კრებები, სადაც უნდა გააკეთონ მოხსენებები ქალების და მოზარდების როლზე წარმოებაში, ქალთა და ბავშვთა შრომის დაცვაზე, კონკრეტულ ზომებზე ქალთა და მოზარდთა ჩასაბმელად პროფმოძრაობაში და სხვა. ამავე დღეს უნდა გამოყოფილ იქნან ქალთა შორის ორგანიზატორი-ინსტრუქტორი და კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირიდან წარმომადგენლები კავშირთა აღმასრულებელ ორგანოებში და სხვა.

8) უკანასკნელ მეშვიდე დღეს მოწვეულ იქნება ყველა კავშირთა ფართე კონფერენცია იმ დელეგატებისაგან, რომლებიც არჩეულ იქნენ კვირეულის მეორე დღეს, პარტიულ, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციების მონაწილეობით, და ყველა მოხსენებები ყველასათვის გასაგებ ენაზე უნდა უძღვნან სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ყრილობას და კავშირთა ახალ ამოცანებს მოქმედების ყველა დარგში. შეძლებისამებრ, უნდა გაკეთდეს აგრეთვე მოხსენება პროფინტერნის ტაქტიკაზე (ერთიანი პროლეტარული ფრონტი).

9) კვირეულის ჩასატარებლად უნდა აღრიცხულ, მობილიზაციით გამოყვანილ და გეგმაშეწონილად განაწილებულ იქნან ყველა პროფესიონალური და პარტიული მუშაკები და ჩაბმულ იქნან ყველა კულტურული ორგანიზაციები, პარტკომები, ქალთა განყოფილებები და კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირი.

10) მიღებულ იქნას ზომები, რომ კვირეულის განმავლობაში კავშირთა წევრებს მიეცეთ შეძლება უფასოდ ან იაფ ფასად იარონ თეატრებსა, კინოებსა, კონცერტებში და სხვა კონცერტებისა, წარმოდგენებისა და სხვების დაწყების წინ სასურველია ორატორების გამოსვლა პროფესიონალურ თემებზე.

11) მთელი პროფესიონალური პრესამ, შეძლებისამებრ, და პარტიული საბჭოთა პრესამ უნდა რაც შეიძლება მეტი ყურადღება მიაქციონ და მეტი ადგილი დაუთმონ სტატიებს, ფელეტონებს, მოთხრობებს, ქრონიკას, და სხვას პროფმოძრაობის და მუშათა ყოფა-ცხოვრების შესახებ. ცენტრალური განსაკუთრებული ყურადღება ყველა წერილებში და გამოსვლებში უნდა დაეთმოს კავშირთა ახალ ამოცანების პოპულიარულად აწერას და განმარტებას.

12) აგიტაციისა და პროპაგანდის გარდა, კავშირთა ორგანიზაციების წინ უნდა დაყენებულ იქნას ამოცანა: განახორციელონ კვირეულის განმავლობაში დადგენილებანი სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს უკანასკნელ პლენუმისა, რომელმაც კონკრეტულად ჩამოაყალიბა კავშირთა ახალი ამოცანები, და ამიერ-კავკაკ. პროფკავშ. ყრილობისა. აუცილებლად საჭიროა აგრეთვე შემოწმებულ იქნას კავშირთა აპარატის მდგომარეობა, რიგზე მოეწყოს ყველა მისი საქმეები, მოემატოს მუშაკები, საჭირო კუთვნილებებით და სხვა.

13. შეძლებისამებრ, „პროფკვირეულის“ დროს უნდა მოხდეს გახსნა მუშათა სასახლეებისა, პროფტეხნიკური კურსებისა, კლუბებისა, ბიბლიოთეკებისა და სხვებისა. უნდა ზომები იქნას მიღებული მუშათა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად, სახელოსნოების, საცხოვრებელ ბინების და სხვების შესაკეთებლად. ამის განსახორციელებლად უნდა შეუთანხმდეთ სამეურნეო ორგანოებს.

14. „კვირეულის“ ძირითად მიზანს უნდა შეადგენდეს პროფესიონალურ ორგანოების დამოკიდებულების გაძლიერება მასებთან და მათი ჩაბმა აქტიურ მონაწილეობის მისაღებად კავშირთა ცხოვრებაში, კავშირთა ახალ ამოცანების და მნიშვნელობის ახსნა, ნებაყოფლობით წევრობის განხორციელება და კავშირის აპარატის გამაგრება.

15. კვირეულის ჩასატარებლად მიღებულ ყველა ზომებზე უნდა შედგენილ იქნას ზედმიწევნითი სრული ანგარიში. ზედმიწევნით უნდა აღრიცხულ იქნას: ყველა კრებების, კონფერენციების რაოდენობა, რამდენი ხალხი დადიოდა ამ კრებებზე და როგორი თვალით უცქეროდა მათ მასსა, გახსნა კლუბებისა, ბიბლიოთეკებისა და სხვა მონაპოვარნი. მთელი ანგარიშები, დაწვრილებითი მოხსენება ყველა დამატებით, კვირეულის გათავების შემდეგ, უნდა გაიგზავნოს ამიერ-კავკასიის ბიუროში.

სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს ამიერ-კავკასიის ბიუროს თავმჯდომარე ა **გაუხმანი.**

მუშათა მთლიანი კოოპერატივის მოქმედება

(დასასრული. იხ. „კომ.“ № 68).

მომარაგების განყოფილება.

მუშათა მთლიანი კოოპერატივი თავის არსებობის 2 თვის განმავლობაში წარმოადგენდა განსაკუთრებით სახალხო სასურსათო კომისარიატის გამნაწილებელ ორგანოს, რომელიც მასთან ხელშეკრულების თანახმად ანაწილებდა სახელმწიფო ულუფებს პირველად თბილისის 80,617 მუშებისა და მოსამსახურეებს შორის; სახელმწიფოს მიერ მოსამსახურეთა ოჯახებისათვის ულუფის შეწყვეტის შემდეგ კოოპერატივი განაწილებას აწარმოებდა 31,000 კაცს შორის. შედარებით ამ წევრების მცირე რიცხვის მომარაგება არ წარმოადგენდა სიძნელეს. დუქნებში იყო საკმაო რიცხვი საქონელისა, რის გამო შესაძლებელი შეიქნა მათი გაყიდვა ყველაზე და აგრეთვე შენახვა წევრებისათვისაც ზოგიერთი საქონლისა.

ამ ხნის განმავლობაში შემოსულია შემდეგი საქონელი: სახალხო სასურსათო კომისარიატის საქონლის მარაგი—896,9„2,053 მანეთის, 5 პროც. ნატურპრემია თბილისის წარმოებათა მუშების—სულ 1,206,739,923 მან. და თავისი ნავიდი საქონელი 457,732.860 მან.—სულ 2.561,464,836 მან. ან ოქროს საშუალო კურსით (430,000)—59,568 მან.

მომარაგების განყოფილების მოქმედება ამ დროს მიმართულია განსაკუთრებით ორგანიზაციის მოწყობისაკენ. ფული ამ დროს მუშათა მთლიან კოოპერატივს თითქმის არ ჰქონდა. მისი თანხა გამოიხატებოდა 163 მილიონ. მანეთში.

საქართველოს რევკომის ოქტომბრის დადგენილება მუშათა მლიანი კოოპერატივისათვის 5 მილიარდი მანეთის გრძელვადიანი და უპროცენტო სესხის მიცემის შესახებ შესრულებულ იქნა მხოლოდ ნაწილობრივად.

ნოემბერი—დეკემბერი—მეორე პერიოდი მუშათა მთლიანი კოოპერატივის მოქმედებისა ხასიათდება ბაზრებზე ფასების საგანგებო ზრდით, იქიდან ბევრი საქონლის გაქრობით და კოოპერატივში ახალი წევრების შემოსვლით.

ამ დროს მძიმე ფინანსიურ მდგომარეობაში ვარდება მომარაგების განყოფილება, რომელსაც მანეთის კურსის დაცემის დროს არ გააჩნდა განსაკუთრებული თანხები და უხდებოდა ორჯელ გადიდებული წევრთა რიცხვის სამსახური. ახალი წევრების გადასახადები შეადგენს მხოლოდ 73,650.000 მან. პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ გადმოგვცა ნატურპრემია—635,060,575 მანეთის. შემოსული საქონელი ამ პერიოდში უდრის 2,827,605,353 მანეთის ან ოქროთი—51,412 მან. ამნაირად შემზიდველობითი ტრიალი პირველ პერიოდთან შედარებით ძირს იწევს, მაგრამ ის ნომინალურია, რადგანაც საკუთარი თადარიგი ამ დროისათვის ადის 2,192,545.778 მანეთამდი; ამასთან ფართოდ მოსახმარი საგნების შემოსვლა საგრძნობლად იმატებს. ამ დროს, როგორც პირველი პერიოდი, საქონლის შემოსვლა შეადგენდა ყველა შემოსულ საქონლის 90 პროც., ამ ჟამად ის უდრის 62 პროც.

კოოპერატივი სწყვეტს არა წევრებზე გაყიდვას, ბაზარზე ფასების ზრდას განაგრძობენ. ბაზრის ფასებთან ბრძოლისათვის მუშათა მლიანი კოოპერატივი უშუალოდ შესყიდვის საშუალებით ამზადებს უპირველეს მოთხოვნილების საგნების მარაგს, აძლიერებს რაიონებში შესყიდვას და სხვა.

მესამე პერიოდი—იანვარ-თებერვალი ხასიათდება მუშათა მთლიანი კოოპერატივის სამეურნეო პოლიტიკის საბოლოო გამორკვევით: ის ცდილობს შეიქნეს თბილისის მუშა მცხოვრებლების ეკონომიური ცენტრი.

უკანასკნელი პერიოდის შესყიდვა უდრის 10,622,299,920 მან. ან ოქროთი—(1,500,000)—70,815 მან.; ამასთან მთელი შემოსულ საქონლიდან პირველ მოთხოვნილების საგნების რიცხვი უდრის 73 პროც.; 27 პ. მოდის მანუფაქტურასა და თამბაქოს ნაწარმოებზე, რომლებიც შეძენილ იქნენ განსაკუთრებით საქონელზე გადასაცვლელად.

გარდა პურის ცხობის და წევრებზე მისი გაყიდვის ორგანიზაციისა, მუშათა მთლიანი კოოპერატივი იღებს თავის თავზე მომარაგებას მთელი რიგი წარმოებებისა, რომლებიც გამორიცხულ იქნენ სახელმწიფო მომარაგებიდან თბილისის მუშათა კოლექტივების მთელმა რიგმა მიმართა თხოვნით მუშათა მთლიან კოოპერატივს მოეწყოთ მათთვის ულუფის ხასიათის მარაგის ორგანიზაცია და სისტემატიურათ მიეწოდებია წარმოებებისათვის. ფულის წინ და წინ გადახდა მუშებს არ შეეძლოთ, ამიტომ შეპოლებულ იქნა წინ და წინ 50 პროც. შეტანა, დანარჩენი თანხა ნაწილდება ორ ვადათ. იანვრის განმავლობაში ამ კოლექტივებს მიეცათ პროდუქტები 4,933,043,572 მანეთის. ამასთან დარჩენილი თანხების შემოტანა ძალიან ჭიანურდება, პროდუქტები გადის კოოპერატივიდან ნისიათ. ყველაფერი ეს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აგდებს კოოპერატივს; ის იძულებული ხდება დუქნებზე მიწოდება შეამციროს და წარმოებების თვითმომარაგება შეაჩეროს.

ნაღდი თანხით—4,928,219,551 მან, (რომლებიდანაც მხოლოდ 30 პროც. იყო მიღებული ფულად და მაშასადამე შეიძლებოდა მისი მაშინვე ტრიალში გაშვება) მომარაგების განყოფილებამ 6 თვის განმავლობაში შეიძინა 16,011,370,109 მან. მარაგი; ამასთან 9,797,099,454 მან. დახარჯულია პირველ მოთხოვნილების საგნების შესაძენად.

თუ მუშათა მთლიანი კოოპერატივის მთელი კაპიტალი ყოველ თვეში იქნებოდა სრულ ტრიალში, კოოპერატივი შესძლებდა მიეცა ყოველ წევრზე 175,000 მარაგი თვეში და სწორეთ უკანასკნელი თვეების მარაგი იძლევა ამ თანხას.

ფინანსიური მდგომარეობის რამოდენიმედ მაინც შემსუბუქების მიზნით მომარაგების განყოფილებამ დაიწყო შესყიდვა ნედლი მასალისა და საქონლისა, რომლებიც გამოდგება საზღვარ გარეთ საქონელზე გადასაცვ-

ლილი და ეკონომიური თათბირის წინაშე აღძრა შუამდგომლობა ამ ნედლ მასალაზე გადასახადის მოხსნის შესახებ.

მუშათა მთლიანი კოოპერატივის წარმოება.

მუშათა მთლიანი კოოპერატივის წარმოებითი განყოფილება შესდგება ცენტრისა და სპეციალური ნაწილებისაგან. აქ შედიან — პურის, ქიმიური, ტეხნიკური, სარემონტო, სასოფლო-სამეურნეო ნაწილები, ჩექმების სახელოსნო და მატერიალური საწყობი.

პური

პური ცხვებოდა: დეკემბერში — 32,871 ფუთი. იანვარში — 38,543 ფ., თებერვალში — 41,094 ფ., ამ რიცხვიდან — 112,509 ფ., 25 გირ. სასურსათო კომისარიატის ხარჯზე გაცემულია 89,935 ფ., და გაყიდულია 22,222 ფ. 8,367,101,000 მანეთის, რომლისგანაც დაახლოვებით 6,957,385,440 მან. დაიხარჯა ნედლ მასალაზე, შტატის შენახვაზე და სხვ. ამნაირად თუ არ ჩავთვლით გაყვალს რომელიც იხარჯებოდა დუქნებში პურის გადაზიდვის საქმეზე, პურმა მოგვცა მოგება 1,419,715,554 მან.

საპონი

პირველ მარტამდი მუშათა მთლიანი კოოპერატივის ქარხანამ დაამუშავა 154 ფ., საპონი ღირებული 158,536,343 მანეთად. გასავალის გამოკლებით, რომელიც დასჭირდა ქიმიურ ნაწილს, მოგება გამოიხატება 8,700,000 მან.

ტეხნიკური და სარემონტო ნაწილები

სარემონტო ნაწილები ვერ ფარავენ თავის ხარჯებს და მხოლოდ ყინვის საკვეთებლის ქარხნის ამუშავების შემდეგ, ტეხნიკური ნაწილი რამოდენიმედ ამართლებს გასავალს.

პირველ მარტამდი სარემონტო ნაწილმა შეაკეთა 60 სამუშაო, რაც მას თითონ დაუჯდა 78,902,600 მანეთი და ამით მისცა კოოპერატივს ეკონომია (ბაზართან შედარებით), 35,000,000 მან.

სახალხო სასურსათო კომისარიატის დავალება.

ვწერდებით რა დამოუკიდებელი განყოფილების მოქმედებაზე, უნდა აღინიშნოს, რომ კოოპერატიულ მუშაობას, გარდა მასზე გადაცემულ სავაჭრო ბინების, დუქნების, საწყობების და სხვ. მოუწყობლობისა, ძალიან აფერხებდა საბჭოთა მოსამსახურეების შორის ულუფის განაწილება ყველა ულუფები არ იყო თავის დროზე, ამიტომ ფერხდებოდა განაწილება და ამით რთულდება, უმთავრესად დუქნების სამუშაო. საჭირო გახდა გამონაწილებელი პუნქტების რიცხვის შემცირება ერთ დუქნამდი, რომელშიაც უნდა შეგვეწყვიტა ვაჭრობა. სახალხო სასურსათო კომისარიატის ამ დავალებების შესრულება და გადატანა პროდუქტებისა ერთი ადგილიდან მეორეზე იჭერდა ბევრ გადასაზიდ საშუალებას და ამით ფერხდებოდა კოოპერატივის საქონლით მომარაგება.

დუქნების სატრიალებელი თანხა.

მუშათა მთლიანი კოოპერატივის დუქნების ტრიალი 1 მარტამდი შემდეგია:

	შემოსავალი.	გასავალი.
1—ცენტრალური სავაჭრო	—3.325.829.992 მან.	1 970,660,940 მან.
2—გასტრონომიული	962,337,502—	689,523,935 —
3—დუქანი № 1	1,208,846,543—	876,786,838 —
4 „ № 2	923,741,310—	698,438,835 —
5 „ № 3	296,741,617—	43,693,420 —
6 „ № 5	743,830,925—	436,849,500 —
7 „ № 7	831, 813,165—	587,088,516 —
8 „ № 8	629,830,425—	515,706,985 —
9 „ № 10	708,923,225—	487,110,975 —
10—ღვინის სავაჭრო	83,175,950—	115,195,550 —
11—თევზის დუქანი	3 607 077,470—	3,157,431,343 —
სულ	12,812,148,125 მან.	9,475,434,343 მან.

სახალხო სასურსათო კომისარიატის ულუფები.

რაც შეეხება სახალხო სასურსათო კომისარიატის საქონელს, რომელიც მან გადმოსცა მუშათა მთლიან კოოპერატივს 1921 წლის 10 ნოემბრიდან, ულუფებისათვის, როგორც საზოგადო მოქალაქეთა ისე პასუხისმგებელ მუშაკებზე დასარიგებლად, გაცემულ იქნა: საზოგადო—სამოქალაქო—64 167. და პასუხისმგებელ მუშაკ. 2 700 ულუფა სულ 66,967.

რძე

სასურსათო კომისარიატთან დადებული ხელშეკრულების თანახმად მუშათა მთლიანმა კოოპერატივმა მიიღო თავის თავზე რძის პროდუქტების განაწილება. ა | წ. 15 თებერვლიდან მის გამგებლობაში გადავიდა ყველა მთელი რძის ქ-ნა განყოფილება 10 ნოემბრიდან 15 თებერვლამდე სახალხო სასურსათო კომისარიატისაგან კოოპერატივმა მიიღო და მისი ჩვენებით განაწილდა 237,239 „კრუჟკა" რძე (4,476 ფ.) ბავშვებს, სავადმყოფოებს, თავშესაფარებს, სავადმყოფოებს და სხვ. შორის.

ყინული

რძის, გასტრონომიული, და თევზის პროდუქტების შესანახად კოოპერატივმა დაამზადა 25,000 ფუთი ყინული დაახლოვებით 6,000,000 მილ. მანეთად ღირებული.

სათბობი მასალა.

თავის არსებობის განმავლობაში გაცემა და განაწილება კოოპერატივის მიერ სათბობი მასალისა გამოიხატება შემდეგ ციფრებში: როგორც კოოპერატივის საქონელი გაცემულა: ნავთი—1,464 ფუთ. დენატურატი—2,115 ფ., ბენზინი 20 ფ., და შეშა—23 კუბ. საჟენი. როგორც სასურსათო კომისარიატის საქონელი განაწილებულია: ნავთი—30,378 ფ., გადამუშავებული ნავთი—1,117 ფ., დენატურატი—6,000 შუშის ნახშირი—1,236 ფ., და შეშა 143 კუბ. საჟენი.

ტრანსპორტი.

ტრანსპორტის მუშაობა ასეთია: გადატანილია ტვირთი: მუშათა მთლიანი კოოპერატივის—193,381 ფუთი, სასურსათო კომისარიატის—99,017 ფუთი, საზოგადო კვების განყოფილების—45,96 ფ., და დანარჩენი—4 936 ფ., სულ 343,295 ფუთ. ამ რიცხვიდან მუშათა მთლიანი კოოპერატივის გადამზიდავი საშუალებებით გადატანილია 321,013 ფუთი ტვირთი.

კოოპერატიული სასადილოები.

მუშათა მთლიანი კოოპერატივის სასადილოების განყოფილებას აქვს ამ ჟამად ქონება და ინვენტარი 180,000,000 და პროდუქტები 130 მილიონი მანეთის.

ინვენტარის და პროდუქტების დაგროვებასთან ერთად განყოფილება აწარმოებდა მუშაობას სასადილოების გასახსნელად; გახსნილია ამ ჟამად 2 სასადილო: დესიმონის მოედანზე—მუშათა მთლიანი კოოპერატივის ტრანსპორტის მუშებისა და მოსამსახურეებისათვის (12.000 მან. სადილი) და მუშათა მთლიანი კოოპერატივის მთავარ შენობაში, ამ უკანასკნელის წევრებისათვის (15,000 მანეთად) უკანასკნელ სასადილოსთან ამ დღეებში გაიხსნება რესტორანი, ამასთან განყოფილებას იმედი აქვს ამ გზით ის გაიჩენს მუდმივ შემოსავლის წყაროს, რომელიც უნდა მოხმარდეს ახალი სასადილოების გახსნას.

პროვინციაში

ბორჯომი.

1921 წელს, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა საქართველოში, დაარსებულ იქნა ჯანმრთელობის კომისარიატთან საკურორტო სამმართველო, რომლის მიზანი იყო, ჩაებარებინა პირველ ხარისხოვანი საკურორტო ადგილები. ასეთს წარმოადგენდა ბორჯომი, აბასთუმნის რაიონი და სხვ. თუმცა დეკრეტი გამოიცა 20 მაისს, საკურორტო მზადება კი, უკვე აპრილში დაიწყო. მაგრამ საკურორტო სამმართველო, რომელიც უნდა გახსნილიყო ბორჯომში და შესდგომოდა დაუყონებლივ სანატორიუმებისათვის ბინების ჩაბარებას, განაგრძობდა თბილისში ყოფნას. ივნისის დამლევში, ბორჯომის ორგანიზაციებისთვის მოულოდნელად ერთ მშვენიერ დილით ვხედავთ ზოგიერთ სასახლეების კარებს ღიათ. ვღებულობთ საკურორტო სამმართველოს ჩამოსვლას, რომელმაც ჩამოიყვანა 80 მეტი მოსამსახურე. მათ მიერ სასახლეების დაკავებამ ადგილობრივ ორგანიზაციებში და მუშებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ივლისის დამლევში როგორც იქნა მოვიდა პარტია ავათმყოფებისა, და იქნა დანაწილებული სხვა და სხვა რაიონებში. ყველა ეს ხდებოდა სასწრაფოთ, რაღაც არა ნორმალურ პირობებში. ყოვლად შეუძლებელი იყო გაგება ვინ იყო ავათმყოფი. თუ წინეთ მუშები და ადგილობრივი ორგანიზაციები უკმაყოფილო იყვნენ საკურორტო სამმართველოთი, როდესაც ადგილობრივმა მუშებმა ავათმყოფები ნახეს, მოთმინებიდან გამოვიდნენ. ეს იყო გამოწვეული სამი მთავარი მიზეზით: 1 ლი ის, რომ მოსამსახურეები შესდგებოდნენ ისეთი პირებისაგან, რომლებიც საავარაკოთ იყვნენ ჩამოსულნი და ავათმყოფების მოვლა არ აინტერესებდათ. უმრავლესობა მოსამსახურეებისა შესდგებოდა, ექიმების, ვექილების ცოლებისაგან, უფრო ხშირათ კი მათი ნაცნობ მეკობრეებისაგან, იყო სტუდენტობაც, 2 რე ის რომ მოსამსახურეებს ეძლეოდათ იმდენივე დიდი ულუფა, რაც ავათმყოფებს. ამ დროს ადგილობრივი მუშები კი სიმშილს განიცდიდნენ და ის ხალხი, რომელიც საავარაკოთ ჩამოვიდა და არა სამსახურისათვის, სახელმწიფოს ხარჯზე ფუფუნებაში იყვნენ; 3 მე ავათმყოფების შემადგენლობა. ვინ იმყოფებოდა სანატორიუმში და ვინ ექიმობდა სახელმწიფოს ხარჯზე. ავათმყოფების უმრავლესობა შესდგებოდა იმ კატეგორიის ხალხისაგან, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს მუშათა კლასთან; მუშები თუ იყვნენ ისინი, იქნებოდა არა მეტი 10 პროც. და ისიც სეზონის დამლევში ჩამოიყვანეს და მალე ისევ უკან გვიხდებოდა გამოგზავნა. რაც შეეხება კომუნისტებს, ლაპარაკი ზედმეტია, ისინი ძლიერ ცოტანი იყვნენ. ყველა ეს ზემოთ აღნიშნული მიზეზები აღელვებდა ადგილობრივ მუშებს და იხოულობდნენ გენერალურ გაწმენდას. ამისათვის აქ კომისიაც შესდგა, ზოგ პირების წინააღმდეგ მუშათა და გლეხთა ინსპექციამ ბრალდებანიც წამოაყენა, მაგრამ სამწუხაროთ სეზონის დამთავრებამდე ცვლილება არ მომხდარა. ამ საქმეში დიდი დამნაშავეა მთელის სამმართველო, მაგრამ ყველაზე უფრო დამნაშავე იყო პოლიტკომი, რომელიც არ იყო თავის ალაგას. როგორც იქნა სეზონი გათავდა და ეს ხალხი დაიშალა. მიუხედავათ იმისა რომ მოსამსახურეთა რიცხვი დიდი იყო, არც ერთი სასახლის აღწერა არ დამთავრებულა და ვინ იცის დღეს რა მდგომარეობაშია ისინი. სეზონი რომ გათავდა ჩვენ ვფიქრობდით, ჯანმრთელობის კომისარიატი ზამთარში შეუდგებოდა სამზადის და მომავალ სეზონში არ განმეორდებოდა ის რაც მოხდა წარსულში, მაგრამ აქაც არ გამართლდა ჩვენი იმედები. მიუხედავათ იმისა რომ აქ 18 კაცისაგან შემდგარი შტატი, დღემდის ძნელი გასაგებია, თუ რას აკეთებს ეს ხალხი. ჩვენს წინაშე იბადება საკითხი ნუ თუ განმეორდება ყოველივე ის, რასაც ალაგი ჰქონდა წარსულ სეზონში? ეს რომ არ მოხდეს და სახელმწიფოს ხარჯზე მისი მტრები არ თარეშობდენ, თუმცა ცოდო გვიანაა, მაგრამ ეხლავე უნდა იქნას ზომები მიღებული: მოსამსახურეების აყვანის დროს სიფრთხილე გვმართებს, რათა იქ არ მოჰყვნენ ის ვაჟბატონები, რომლებიც აქ აგარაკობდენ. საჭიროა „პროტექციებს" ალაგი არ ჰქონდეს. აგრეთვე სიფრთხილის ცხრილში უნდა გატარება ავათმყოფებსაც, რომ მართლაც მუშები იგზავნებოდენ და არა მისი მოწინააღმდეგენი.

რუხაძე

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დებულება

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული იძულებითი სამუშაოს მთავარი სამმართველოს და მისი ადგილობრივი ორგანოებისა. *)

იძულებითი სამუშაო მთავარ სამმართველოს ადგილობრივი ორგანოები:

8) ბანაკების და იძულებითი მუშაობის სხვა და სხვა ორგანოების მართვისთვის საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტების შინაგან მართველობის განყოფილებებთან არსდება იძულებითი სამუშაოს ქვე-განყოფილებანი, რომლებიც თავის მუშაობას დროს ხელმძღვანელობენ იმ დებულებებით, ინსტრუქციებით და განკარგულებებით, რომლებსაც შეიმუშავებს იძულებითი სამუშაოს მთავარი სამმართველო.

9) იძულებითი სამუშაოს ქვე განყოფილების სათავეში სდგას გამგე, რომელსაც ნიშნავს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის შინაგანი მართველობა და ამტკიცებს იძულებითი მუშაობის მთავარი სამმართველო.

შენიშვნა: ქვეგანყოფილების დანარჩენ მოხელეებს ნიშნავს ქვეგანყოფილების გამგე და ამტკიცებს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი.

სამაზრო ქვეგანყოფილების მოვალეობა

10 იძულებითი სამუშაოს ქვეგანყოფილების მოვალეობაა:

ა) უშუალოდ განაგოს ადმინისტრატიული, სამეურნეო და ფინანსიური მხრივ ბანაკი და იძულებითი სამუშაოს სხვა და სხვა დარგი.

ბ) ქვეგანყოფილების და მისი ქვემდებარე ორგანოთა მოსაწყობი და შესანახი შტატების და ხარჯთ აღრიცხვის შედგენა ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტისთვის წარსადგენად განხილვისა და დამტკიცებისათვის და სათანადო კრედიტის გამოსათხოვად.

გ) წარდგენა ყოველდღიურად იძულებითი სამუშაოს მთავარ სამმართველოში და ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტში, ქვეგანყოფილების და მისი ქვემდებარე ორგანოთა მოღვაწეობის შესახებ მოხსენების და ანგარიშებისა.

დ) ახალი ბანაკების და იძულებითი მუშაობის სხვა ორგანოების გახსნა იძულებითი სამუშაოს მთავარი სამმართველოს წინასწარ ნებართვით.

შენიშვნა: მოხსენება ბანაკის და იძულებითი მუშაობის სხვა ორგანოთა გახსნის და მოწყობის აუცილებლობის შესახებ, საჭირო კრედიტის ხარჯთ-აღრიცხვის დართვით, უნდა წარედგინოს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც თავის მხრივ გადაუგზავნის მას იძულებითი სამუშაოს მთავარ სამმართველოს დასამტკიცებლად.

ე) გამომუშავება ქვემდებარე ბანაკთა ადმინისტრაციისა და იძულებითი სამუშაოს სხვა ორგანოთათვის ინსტრუქციების და წესების, ადგილობრივ პირობებთან შეგუებით და იძულებითი სამუშაოს მთავარ სამმართველოს მიერ გამოცემული ინსტრუქციების და განკარგულების თანახმად.

ვ) ბანაკთა კომენდანტების და მათ თანაშემწეთა დანიშვნა და იძულებითი სამუშაოს მთავარ სამმართველოში წარდგენა დასამტკიცებლად.

11) იძულებითი სამუშაოს ბანაკში დაპატიმრებულთა შორის კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა, სახალხო განათლების ადგილობრივი განყოფილების საშუალებით სწარმოებს.

12) სანიტარ-მედიკური ზედამხედველობა პატიმართა, ეკისრება ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებას.

შენიშვნა: სამაზრო ქვეგანყოფილებ-ის მოქმედებაზე საჩივარი უნდა იქნეს შეტანილი ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტის შინაგან მართველობაში, რომელიც თავის დასკვნით საჩივარს ადგენს იძულებითი სამუშაოს მთავარ სამმართველოში.

სამაზრო ქვეგანყოფილების შემადგენლობა.

13) სამაზრო ქვეგანყოფილება შესდგება შემდეგი ნაწილებიდგან:

ა) ადმინისტრატიული, რომლის მოვალეობაა იძულებითი მუშაობის მოსახდელი ადგილების ორგანიზაცია, მართვა, ზედამხედველობა, რევიზია და მოქმედების კონტროლი, მოსამსახურეთა პირადი შემადგენლობის გამგებლობა, შეკრება და დამუშავება პატიმართა შესახებ სტატისტიკური ცნობებისა, აღრიცხვა და მათი იძულებითი სამუშაოზე დანაწილება, როგორც ბანაკში ისე ბანაკს გარეშე (უკანასკნელ შემთხვევაში შრომის ადგილობრივ ორგანოსთან შეთანხმებით), წარდგენა იძულებითი სამუშაოს მთავარ სამმართველოში ყოველთვიური ანგარიშებისა და მოხსენებათა ქვეგანყოფილების და მისი ადგილობრივი ორგანოების მოქმედების შესახებ, ქვემდებარე ბანაკის პატიმართა დაცვამხედველობის, სწავლა-განათლების და სასანიტარო საექიმო საკითხების მოწესრიგება თანახმად ადგილობრივ სწავლა-განათლების და ჯანმრთელობის ორგანოთა მითითებისა, ბანაკის საფინანსო ნაწილის წარმოება—ესე იგი საბუხგალტერო წიგნების წარმოება, პატიმართა შრომის ფულების შეკრება და პატიმართათვის ანგარიშების გაწმენდა და სხ.

ბ) სამეურნეო, რომლის მოვალეობაა სახელოსნოები და სხვა წარმოების მოწყობა ბანაკში და მათი ტეხნიკური ხელმძღვანელობა, ბანაკის შენობის მოწყობა და შეკეთება, შეძენა და დანაწილება პატიმართა შორის საჭირო სურსათ სანოვაგისა, ტანსაცმელისა და ფეხსაცმელისა იძულებითი სამუშაოს თანახმად მთავარ სამმართველოს მიერ გამომუშავებული ნორმისა, შეძენა ბანაკისათვის ტეხნიკური ხელსაწყოსი, სათბობი და გასანათებელი მასალისა, ტრანსპორტის საშუალებისა, მატერიალური ნაწილის სწორი ანგარიში და სხვა.

14) სამაზრო ქვეგანყოფილებასთან არსდება იძულებითი სამუშაოს, თავისუფლების აღუკვეცლად, ბიურო, რომლის მოქმედების ფარგალი განისაზღვრება ამავე დებულებით.

15) ნაწილის სათავეში სდგას გამგე.

შენიშვნა: როგორც ნაწილის გამგეს, ისე დანარჩენ მოხელეებს ნიშნავს ქვეგანყოფილების გამგე და ამტკიცებს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი.

(დასასრული იქნება)

---

*) იხ. „კომუნისტი" № 68.

სარედაქციო კოლეგია.

ხელის მომწერთა საყურადღებოდ

სახელმწიფო გამომცემლობა აცხადებს გაზეთ „პრავდა გრუზიის", „კომუნისტის", „კარმირ ასტღ"-ის და „ახალი სოფლის" ხელის-მომწერთა (სახელმწიფო დაწესებულების, პარტიული და მუშათა ორგანიზაციების და კერძო პირთა) საყურადღებოდ, რომ შემდეგში გაზეთებს მიიღებენ ისინი მხოლოდ ხელის მოწერის ფასის გადახდის შემდეგ. იმ დაწესებულებებს და პირთ, რომელთაც გასული თვეებისთვის გადასახადი არ შემოუტანიათ

გაზეთების მიწოდება უსათუოდ შეუწყდებათ.

ხელის მოწერა და ფულის მიღება გასული თვეებისთვის სწარმოებს წინასწარ სახელმწიფო გამომცემლობაში (ლორის-მელიქოვის ქ. № 5).

ამა წლის 30 მარტს, დღით ხუთშაბათს, დილის 11 საათზე

ს. ს. ს. რ. სახალხო სასურსათო კომისარიატის შენობაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ამავე კომისარიატისათვის ხორცის მიწოდების შესახებ. საიჯარო პირობების გაცნობა შესაძლოა ყოველ დღე სახ. სას. კომისარიატის მომარაგების განყოფილების მმართველთან 9—3 საათამდე. ვაჭრობაში მონაწილეობის მიმღებთათვის სავალდებულოა საწინდრის 20.000.000 მანეთი შეტანა სახ. სას. კომისარიატის სალაროში არა უგვიანეს 29 ამა მარტისა.

ს. ს. ს. რ. სახ. სას. კომისარიატი.

პროლეტკულტი

რუსეთის პროლეტკულტის ცენტრალურ კომიტეტის რწმუნებული ამხ. იგნატოვი და საქართველოს პროლეტ. მწერალთა ასოციაციის პრეზიდიუმი იწვევენ სამშაბათს, 28 მარტს, საღამოს 5 საათზე, ხელოვანთა სასახლეში (სერგეევის ქ. № 13) ფართო თათბირს ამიერ კავკასიაში პროლეტკულტების დაარსების შესახებ.

დღის წეს-რიგი:

1. კულტურული ამოცანები მუშათა კლასისა,
2. პროლეტკულტის ორგანიზაცია.
3. არჩევნები წარმომადგენლების ამიერ-კავკასიის პროლეტკულტის საორგანიზაციო ბიუროში.
4. თათბირზე მოწვეული არიან შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენლები:

1. რუსეთის კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტისა, 2. რუსეთის პროფკავშირთა კავბიუროსი, 3. რუსეთის ახალგაზრდათა კომკავშირის კავბიუროს, 4. ს. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი, 5. საქართველოს აღმასრულებელი კომიტეტის, 6. საქართველოს კომპარტიის (ცენტრალური და ტფილისის კომიტეტისა, 7. საქ. პროფკავშირთა საბჭოსი, 8 პოლიტგანათლების მთავარ მმართველობის, 9. სახალხო განათლების კომისარიატის, 10 საქ წითელი ჯარის პოლიტიკური განყოფილების, 11. საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის, 12. ამიერ კავკასიის რკინის გზათა პროფკავშირის, 13. ყველა რედაქციებისა, 14. პროფკავშირთა გამგეობების და ყველა მუშათა კლუბების.

აგრეთვე ისინიც, ვისაც უმუშავნიათ პროლეტკულტში და აინტერესებთ ეს საკითხი.

(2—2)

სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს
სალითონო განყოფილების
ტეხნიკური კანტორა და მაღაზია
სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ხელსაწყო იარაღებისა.
პლეხანოვის პროსპექტი, 87.

აწვდის ყველას: გუთნებს, კულტივატორებს, გამოსანიავებელ იარაღებს, სიმინდის დასაფშვნელებს, ბარ-ნიჩბებს, ცულდ-ნაჯახებს და სხვა.

მიღებულია ამასთანავე პაკარდ უაიტის სისტემისა და სხვა სატადარიგო საავტომობილო ნაწილების დიდი წყება.

იყიდება ბითუმად და წვრილ წვრილად. მიიღება საკომისიოდაც.

(5—4)

სახელმწიფო გამომცემლობისაგან

განცხადება

ცხადდება ყველა პარტიულ გაზეთების „კომუნისტის", „პრავდა გრუზიის" და „კარმირ ასტღ"-ის ხელის მომწერთა საყურადღებოდ, რომ პირველ აპრილიდან ხელის მოწერა მიიღება ახალი ფასით.

პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისათვის ხელის მოწერა ადგილზე ქალაქში სახლში მიუტანლად თვეში ღირება 120.000 მან. შინ მიტანით 140.000 მ. პროვინციაში 150.000 მან.

ყველა სხვა დაწესებულებისა და კერძო პირთათვის ხელის მოწერა ადგილზე შინ მიუტანლად ქალაქში ღირება თვიურად 180,000 მან. შინ მიტანით 200,000 მ., პროვინციაში 240.000 მან.

ცალკე ნომერი ქალაქში ღირება 10,000 მ. პროვინციაში კი 12,000 მ.

ხელის მოწერა დროებით მიიღება სახელმწიფო გამომცემლობაში ლორის-მელიქოვის ქ. № 5 ამხ. ზუმბაძესთან.

ქ. თბილისის მე-10 უბნის სახალხო სასამართლო

იწვევს, რათა გამოცხადდეს სასამართლოში ორი თვის განმავლობაში, დღიდან გამოცხადებისა უგზო-უკვლოდ დაკარგულს ოტტო მათეის ძე შვარცს, როგორც მოპასუხეს, ძიებაზე მისი მეუღლისა ერნა ფრიდრიხის ასული შვარცისა დაბადებითი კილბლიოვი მათი განქორწინების შესახებ.

სახალხო მოსამართლე მირაქოვი.

(1—1)

ქ. თბილისის მე-2-ე უბნის სახალხო მოსამართლე

იწვევს სახალხო სასამართლოში ნინო ანტონის ასულ ხარებავას, დაბადებითი აბაზაძე, როგორც მოპასუხე მის ქმართან მიხეილ მიხეილის ძე ხარებავასთან მიერ განცხადებულ საჩივარზე მათი განქორწინების შესახებ და აფრთხილებს მას, რომ თუ ის ორი თვის განმავლობაში დღიდან ამის გამოქვეყნებისა არ გამოცხადდება, დანიშნული იქნება საქმე და გამოტანილი დაუსწრებელი დადგენილება

სახალხო მოსამართლე (ხელს აწერს).

(1—1)

დაიკარგა

მოწმობა მიხეილ კონსტანტინეს ძის კეშელავის სახელზე, მიცემული სენაკის პირველ ტეხნიკუმისაგან—ჩაითვალოს გაუქმებულად.